2010 წელი, 6 – 12 მაისი
ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№16 (490) გამოდის 1998 წლიდან

ერთიანი ეროვნული გამოცდები და განათლების ხარისხი

უკვე მეხუთე წელია, რაც საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსახვედრად აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ეს გამოცდები აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა საგანმანათლებლო სივრცეში. ამ აღიარების საფუძვლად სახელდება ხოლმე შემდეგი მიზეზები:

ა) გამოცდებმა შემოიტანა მერიტოკრატია განათლების სისტემაში და დაამარცხა უმაღლესებში მოხვედრის ეტაპზე კორუფცია. ამით დამყარდა უფრო მეტი სოციალური სამართლიანობა. ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ახალ სისტემაში არა მხოლოდ სოციალური კავშირები აღარ ჭრის (ე.წ. ჩაწყობა), არამედ ღარიბებს იგივე შანსი აქვთ მოხვედრის, როგორც მდიდრებს.

ბ) გამოცდების შემოღებით განათლების ხარისხი იმატებს იმ საგნებში, რომლებიც გამოცდებზე ბარდება.

გამოცდების ახალ სისტემას აქვს მაღალი მხარდაჭერა საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების მხრიდან. გამოცდების სისტემის კრიტიკა არათუ ცუდ ტონად ითვლება, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების მხრიდან ხანდახან ირაციონალურ რეაქციებსაც კი იწვევს. ჩემი მიზანი ამ რეაქციების გამოწვევა სულაც არ არის, ამიტომ მკითხველს, რომელსაც ცივად არ შეუძლია განათლების სფეროზე მსჯელობა, ვურჩევ თავს ნუ შეიწუხებს ამ ჩანაწერის კითხვით.

კითხვა, რომელსაც ვცდილობ ვუპასუხო: – უწყობს თუ არა ხელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება განათლების ხარისხის ამაღლებას საქართველოში? თუ დავუჯერებთ ზოგიერთ პოლიტიკოსსა და საგამოცდო პროგრამებისა და ტესტების შემქმნელების დიდ ნაწილს, გამოცდების არსებობა გარკვეულწილად განაპირობებს განათლების ხარისხის ამაღლებას. პროფესორების ნაწილი უნივერსიტეტებში თვლის, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილი ბოლო დროს განსაკუთრებული ცოდნით ვერ დაიკვეხნის, როდესაც უნივერსიტეტში ხვდება. საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რამდენად არის განათლების ხარისხი დაკავშირებული გამოცდებთან და როგორ უნდა ემსახურებოდეს განათლების პოლიტიკა სწორედ ამ საკითხს, ამ კონტექსტიდან გამომდინარე.

სანამ გამოცდების განათლების ხარისხთან კავშირზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია, რომ გავიხსენოთ, თუ როგორ ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები. კონკურსის ფორმატი შემდეგია: აბიტურიენტი წერს ტესტს სამ ან ოთხ საგანში. თუ მისი ქულები მისი კონკურენტისაზე უფრო მაღალია და გარკვეულ რაოდენობაში ხვდება, ის იკავებს ადგილს სასურველ ფაკულტეტზე და/ან იღებს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ გრანტს სწავლის სრულად ან ნაწილობრივ დასაფინანსებლად.

რა განაპირობებს იმას, თუ რამდენად მიიღებს აბიტურიენტი იმდენ ქულას, რაც საკმარისი იქნება მისთვის სასურველ ფაკულტეტზე მოსახვედრად? პასუხი თითქოს ერთმნიშვნელოვანია: მისი ცოდნა და შესაძლებლობები. სინამდვილეში პასუხი ამ კითხვაზე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს თავდაპირველად ჩანს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც საქართველოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის წარმატებას განაპირობებს, არის:

ა) აბიტურიენტისა და მისი კონკურენტების მიერ არჩეული ფაკულტეტების შერჩევის სტრატეგია;

ბ) აბიტურიენტისა და მისი კონკურენტების ცოდნა და უნარები კონკრეტული სფეროს მხოლოდ ვიწრო ნაწილში და სფეროების კომბინირებისას, ტესტის შინაარსის, ჩატარების მეთოდოლოგიისა და ტესტის შექმნის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

ცოდნის, უნარების ან ზოგადად განათლებულობის ხარისხი სულაც არ არის გადამწყვეტი იმისთვის, რომ მოხვდეთ თქვენთვის სასურველ ფაკულტეტზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების სტრუქტურა და გამოყენებული შეფასების მეთოდიკა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მისი ფუნქცია არ არის განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

სტრატეგია

ერთი შეხედვით, ქულას მხოლოდ, კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, კონკურსანტის ცოდნის ხარისხი და ოდენობა განაპირობებს, თუმცა სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე ეს თავდაპირველად ჩანს. იმისთვის, რომ აბიტურიენტი რომელიმე უმაღლესში მოხვდეს, მას აქვს უფლება შვიდ სხვადასხვა ფაკულტეტზე არსებულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. ამ ფაკულტეტებზე მოხვედრის მსურველების სია ერთგვაროვანი არ არის. სია არა მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სხვადასხვა ადამიანები იღებენ მონაწილეობას, არამედ იმით, პირველ რიგში, რომ მათი შესაძლებლობები და შესაბამისად, ტესტში მიღებული ქულებიც განსხვავდება. შესაძლოა A ფაკულტეტზე უფრო მეტმა ჩემმა კონკურენტმა მიიღოს ჩემზე მაღალი ქულა კონკრეტულ საგანში, ვიდრე B ფაკულტეტზე. ჩემ მიერ მიღებული ქულა ზოგ ფაკულტეტზე არსებულ კონკურსში შეიძლება ძალიან მაღალი იყოს, მაშინ როდესაც სხვა ფაკულტეტზე ეს ქულა დაბალია. ჩემი ქულები ფარდობითია ჩემი თანაკონკურსანტების ქულებთან მიმართებაში.

ჩაბარების სტრატეგიას განაპირობებს კიდევ ერთი ფაქტორი – ფაკულტეტის პოპულარობა. რაც უფრო მეტი აბიტურიენტი იღებს მონაწილეობას კონკრეტულ ფაკულტეტზე ადგილების დაკავებაში, მით უფრო ძნელი ხდება სხვაზე უფრო მაღალი ქულების მიღება. მიუხედავად იმისა, თუ აბიტურიენტი 100-ქულიან ტესტში საშუალო და საშუალოზე დაბალ ქულებს იღებს, მას მაინც საკმაოდ კარგი შანსები აქვს უმაღლესში მოსახვედრად, თუ ის დაბალი პოპულარობის, ანუ დაბალი კონკურსის მქონე ფაკულტეტზე ცდილობს ადგილის დაკავებას. ასეთ ფაკულტეტებს არა მხოლოდ ისინი ირჩევენ, ვისაც წინასწარ არ აქვს მოლოდინი, რომ მაღალ ქულებს აიღებენ, არამედ ისინიც, ვისაც მაღალი მოლოდინები აქვს, მაგრამ ირჩევს შედარებით არაპოპულარულ ფაკულტეტს მხოლოდ სტრატეგიიდან გამომდინარე. ასეთი აბიტურიენტების სტრატეგია შემდეგია: პირველ რამდენიმე პრიორიტეტად ირჩევ მაღალი კონკურსის მქონე ფაკულტეტს, ხოლო ბოლო პრიორიტეტებად კი დაბალი კონკურსის მქონეს. მაგ. თუ ვერ მოხვდი, მაგ., თსუ-ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, და მოხვდი, მაგ., ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ეს არ არის დიდი ტრაგედია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაინცდამაინც თსუ-ში გინდა სწავლა, რადგან ამით კონკურსი არ დამთავრებულა. ერთი წლის თავზე, შეგიძლია ე.წ. „მობილობის“ წესით სცადო ბათუმიდან თსუ-ში გადასვლა. ამისთვის უკვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაცვლად, აბარებ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, რომელიც ნაკლებად გამჭვირვალეა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პატიოსნებასა და საკუთარ რეპუტაციაზე ზრუნვაზეა უფრო მეტად დამოკიდებული, ვიდრე რაიმე გამართულ სისტემაზე. აქედან გამომდინარე, იმას, თუ რამდენად მიიღებს აბიტურიენტი მის სასურველ ფაკულტეტზე ადგილს, ცოდნის ხარისხისა და მოცულობის გარდა ისიც განაპირობებს, თუ რა სტრატეგიას იყენებს აბიტურიენტი ფაკულტეტების არჩევისას.

ცოდნა, უნარები, ტესტის შინაარსი, ჩატარების მეთოდოლოგია და ტესტის შექმნის ტექნოლოგია

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არსებული ტესტი კონკრეტული ცოდნის სფეროში (domain of knowledge) შესაძლო ცოდნის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ამოწმებს. მაგალითისთვის განვიხილოთ უცხო ენის ტესტი. უცხო ენის ფლობა გულისხმობს, როგორც მინიმუმ, ოთხი ძირითადი მიმართულებით გარკვეული კომპეტენციების ფლობას: წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას. დამატებით, უცხო ენის ფლობა გულისხმობს გარკვეულ კულტურულ კომპეტენციებსაც, რაც გულისხმობს უცხო ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობას უცხო კულტურის გათვალისწინებით. რას ამოწმებს ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტი? ის ამოწმებს მხოლოდ წერისა და კითხვის კომპეტენციებს და ისიც მხოლოდ მათ ნაწილს.

ტესტის ფორმატი უფრო მეტად ორიენტირებულია შეფასების ობიექტურობის დაცვაზე, ვიდრე მნიშვნელოვანი კომპეტენციების შემოწმებაზე. იმის გამო, რომ ტესტის შემქმნელებისთვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ნაკლები იყოს გამსწორებლების სუბიექტური ფაქტორი, უპირატესობა ეეგ-ზე ტესტებში ენიჭება ისეთ კითხვებს, რომლის პასუხებიც წინასწარ არის მოცემული და სადაც აბიტურიენტი, რამდენიმე ვარიანტიდან სწორს ირჩევს. ასეთ პირობებში მინიმალურია წერის შემოწმების ფაქტორიც. შესაბამისად, ტესტი ამოწმებს ძალიან შეზღუდული მოცულობის ცოდნას. უცხო ენის მაგალითზე, მაგ., შესაძლებელია აბიტურიენტს არასოდეს ჰქონდეს ნათქვამი ან მოსმენილი სიტყვა უცხო ენაზე და ისე აბარებდეს გამოცდას.

მსგავსი ვითარებაა ყველა დანარჩენ ტესტში. უნარების ტესტიც მხოლოდ უნარების ძალიან ვიწრო ჯგუფის მცირე ნაწილს ამოწმებს. მოწმდება მხოლოდ ვერბალური და მათემატიკური უნარების ნაწილი, მაშინ როდესაც სხვადასხვა ძველი და თანამედროვე კვლევებისა და კლასიფიკაციის მიხედვით ამ უნარების გარდა ადმიანის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სივრცული, ინტერ და ინტრაპერსონალური, კინესთეტიკური, ნატურალისტური და სხვა უნარები.

ცოდნის სფეროში შესაძლო ცოდნის მოცულობა განუზომელია და გასაგებია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები ამ ცოდნას არ ამოწმებს. პრობლემატური ის არის, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების მიერ შემოწმებული ცოდნა და უნარები, თავისი „დაფარვით“ ახლოსაც არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. ეროვნული სასწავლო გეგმა გაცილებით ფართო მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეს ვიდრე გამოცდები აბიტურიენტს. ის, რომ გამოცდებზე შეტანილია ზოგიერთი საკითხი, რომლის სკოლაში სწავლა მოსწავლეს არ მოეთხოვება, სხვა ტიპის პრობლემაა და ზოგად სურათს არ

გვერდი 2

განათლების რეფორმა

ერთიანი ეროვნული გამოცდები და განათლების ხარისხი

სიმონ ჯანაშია

პირველი გვერდიდან

ცვლის. თავი რომ დავანებოთ ცოდნასა და კოგნიტურ, ანუ შემეცნებით უნარებს გამოცდაზე აბიტურიენტს არავინ არ სთხოვს გამოავლინოს საკუთარი სოციალური უნარები, არტისტიზმი, მახვილგონიერება, იუმორის გრძნობა, თანატოლებზე ზრუნვა, ლიდერობა და სხვ. თავისთავად ამ ყველაფრის შემოწმება რომ არ ხდება, ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაკლი კი არა, ზოგადად ტესტირების ფორმატის ნაკლია. ძალიან ვიწრო სფეროში მიღებული ქულა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ბევრი აბიტურიენტისთვის, ვიდრე მისი შემდგომი წარმატებისთვის გაცილებით უფრო საჭირო მრავალი უნარის სწავლა. სწორედ ამის გამო, ისინი ბოლო კლასებში კერძო რეპეტიტორთან სიარულს არჩევენ სკოლაში ამ უნარების ათვისებისთვის შრომას. ამ უნართაგან ზოგიერთის შემოწმება გამოცდის ფორმატში შესაძლებელია, მაგრამ ეს უკვე სცილდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მიზანსა და ამოცანებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მთავარი ამოცანა მრავალი ათასი აბიტურიენტის მიუკერძოებლად რანჟირებაა მათი ტესტის შედეგების მიხედვით. ამ ამოცანისთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ, თუ რა იცის კონკურსანტმა. აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რამდენად მეტი ან ნაკლები იცის კონკურსანტმა სხვებთან მიმართებაში. ამ ამოცანის გადაჭრა ტესტის შედგენის მეთოდოლოგიას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს აბიტურიენტის წარმატებას ადგილების დაკავების კონკურსში.

ცოდნის შესაფასებლად ორი ტიპის ტესტებია გავრცელებული – ე.წ. ნორმაზე დაფუძნებული და ე.წ. კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტები. პირველი ტესტის თავისებურება არის ის, რომ ტესტის სირთულე დგება პოპულაციის მომზადების დონიდან გამომდინარე. მეორე ტესტის სირთულე კი დაფუძნებულია ცოდნის იმ კრიტერიუმებს, რომლებზეც წინასწარ არსებობს შეთანხმება. საქართველოში არსებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა პირველ სისტემას ეყრდნობა. ეს გულისხმობს ტესტის სირთულის ყოველწლიურად მორგებას არსებული აბიტურიენტების სიძლიერეზე. პროცესი რომ თვალნათელი იყოს, გავამარტივებ ტესტის შექმნის პროცესის სურათს და ისე აღვწერ. მაგ., დგება ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის კითხვები. გამოცდამდე დიდი ხნით ადრე სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით გამოიცდება ტესტი და მისი თითოეული კითხვა საცდელ ტესტირებებზე. საბოლოო ტესტი ისეთი კითხვებისგან უნდა იყოს შედგენილი, რომ თუ ის 100-ქულიანია, აბიტურიენტების 50% საშუალოზე ნაკლებ ქულას უნდა იღებდეს, ხოლო მეორე ნახევარი კი საშუალოზე მაღალს. თუ ბევრი რთული კითხვა აღმოჩნდა, ისინი იცვლება მარტივებზე, ხოლო თუ ბევრი მარტივი – რთულებზე. კითხვების შედგენისას კიდევ სხვა მრავალი სირთულეა (მაგ. ისინი, ვინც რთულ კითხვებს პასუხობენ, ზოგადად მარტივებსაც უნდა პასუხობდნენ და ა.შ. მაგრამ ეს უკვე ტესტის ხარისხიანობის თემაა და არა ტესტის მიერ ხარისხის შემოწმების). ტესტის ჩამბარებელთა პოპულაციაზე მორგება იწვევს იმას, რომ ტესტის სირთულე ისევე ფარდობითია, როგორც ქულები. შესაბამისად, თუ ერთ დღეს ძალიან სუსტი ცოდნის აბიტურიენტები მოვლენ კონკურსზე, მათგან საუკეთესოები მაინც ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლესებში. ტესტის შედგენის ეს მეთოდოლოგია იმ მხრივაც პრობლემატურია, რომ ქულების შენახვას უაზროს ხდის წლიდან წლამდე, რადგან სხვადასხვა წელს მონაწილეთა სიძლიერე განაპირობებს მათ ქულებს და არა რაიმე კრიტერიუმი. აქედან გამომდინარე, ერთ წელს მიღებული, მაგ., 100 ქულა შეიძლება მიღებულ იქნეს უფრო რთულ კითხვებზე პასუხით, ვიდრე მეორე წელს მიღებული.

აბიტურიენტის წარმატებას არა მხოლოდ ის განაპირობებს, თუ რამდენად მომზადებულია, არამედ რამდენად არის მომზადებული მისი თაობა და აქედან გამომდინარე, თუ რამდენად იცვლება ტესტი. სხგვაგვარად რომ ავხსნათ: წარმოვიდგინოთ, რომ ტარდება შეჯიბრი მაქსიმალური მანძილის გარბენაში. არავინ წინასწარ არ იცის, თუ რა იქნება მაქსიმალური მანძილი. მონაწილეობის დაწყების წინ ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დგინდება, თუ რა მანძილის გავლა შეუძლიათ საუკეთესოებს. ამ ინფორმაციას მხოლოდ შეჯიბრისას ვიგებთ. შესაბამისად, თუ თქვენ მომზადებული იყავით, მაგ., რომ 42 კილომეტრის გარბენისთვის მაქსიმალური მანძილი დაფარული გექნებოდათ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იმისთვის, რომ მაქსიმუმს მიაღწიოთ, თქვენ 50 კილომეტრი უნდა გაგერბინათ და არა 42, რადგან სხვებმა წინასწარი ექსპერიმენტის დროს სწორედ ეს მანძილი გაირბინეს. ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია თქვენ შეჯიბრის წინ ივარჯიშოთ და ვარჯიშის შედეგებით კმაყოფილი იყოთ, რადგან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენ შედარებით დაბალ მოთხოვნებს უყენებთ თქვენს თავს, ვიდრე სხვები და შესაბამისად, შეჯიბრის დაწყებისას პირობები თქვენთვის აღმოჩენა იქნება. როგორც ამ შეჯიბრში, ისევე ერთიან ეროვნულ გამოცდებში, იმის გამო, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებ შეჯიბრის პირობებს, იძულებული ხდები იმეცადინო იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ქულა მიიღო შენთვის უცნობი სირთულის ტესტში. სწორედ ამის გამოა, რომ აბიტურიენტების უმეტესობას არასოდეს არ აკმაყოფილებს ვარჯიშის ის მოცულობა, რაც მას რომელიმე ინსტიტუციამ ან პიროვნებამ შეიძლება შესთავაზოს. სკოლას აქვს სტანდარტები, ცდილობს გარკვეული ცოდნის ხარისხის მიღწევას, მაგრამ ყოველთვის შესაძლებელია კიდევ უფრო მეტის შესწავლა. ამის გამო, აბიტურიენტი დამატებით მიდის რეპეტიტორთან. უფრო სწორად კი, ზემოთ აღწერილი გამოცდების შინაარსის პრობლემის გამო, ცდილობს, რაც შეიძლება ცოტა დრო დახარჯოს განათლებაზე და მისი დროის მაქსიმალური მოცულობა გამოცდებისთვის წვრთნას მოახმაროს. თუმცა, გამოცდების სირთულე სწორედ მათ მომზადებულობას „ერგება“ და რაც უფრო მეტს ემზადებიან, მით უფრო მეტად რთულდება გამოცდაც. როგორც ჩანს, ეს პრინციპი არა მხოლოდ აბიტურიენტების დიდ ნაწილს არ ესმის, არამედ მათ რეპეტიტორებსაც (ან შეიძლება რეპეტიტორებს ესმით და არ უნდათ ამის აღიარება). ამისი დასტურია ყოველწლიური საუბარი იმის შესახებ, რომ გამოცდები გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე წინა წელს იყო. ამის დასტურია ასევე ხშირად გამოთქმული მოსაზრება, რომ აბიტურიენტი რეპეტიტორთან მომზადებისას კარგ შედეგებს აჩვენებდა, ხოლო გამოცდაზე საშუალო შედეგი აჩვენა. ვერც აბიტურიენტსა და ვერც მის რეპეტიტორს ვერ ექნებოდა რაიმე საზომი, თუ როგორი შედეგი ექნებოდა მას შემდგომ გამოცდაზე, რადგან მათ არ აქვთ იმ სირთულის ტესტი, რომლითაც ისინი მომავალში უნდა გამოიცადნონ.

თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირდაპირი ამოცანა არ არის ხარისხის გაუმჯობესება, იქნებ მისი ირიბი შედეგი მაინც არის გარკვეული წინსვლა ამ მიმართულებით? მართლაც, არსებობს მოსაზრება, იმის გამო, რომ მოსწავლეებმა იციან რომ მხოლოდ ცოდნის მიხედვით შეძლებენ წარმატების მიღწევას და არა რაიმე სხვა დამსახურებით თუ სოციალური სტატუსით, ისინი განსაკუთრებული მონდომებით სწავლობენ. ჩემი დაკვირვებით, ამას გამოცდების შემოღების წლებში უფრო ხშირად ამბობდნენ მასწავლებლები, ვიდრე დღეს. ეს უკავშირდება ცნობილ პრინციპს (კემპბელის კანონი), რომ რაც უფრო მეტად ხდება მნიშვნელოვანი შემოწმების სისტემა, მით უფრო მეტად უარყოფით გავლენას ახდენს იმ სოციალური პროცესის ცვლილებაზე, რომელსაც ამოწმებს. მაგ., ჩვენ გვაინტერესებს უნარები, რომლებსაც სხვადასხვა გამოცდილების მიღებით ეუფლება და იღრმავებს ადამიანი. თუ ამ უნარების შემოწმების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანი ხდება, დიდია შანსი, რომ გამოცდილებების მიღების სტრუქტურაც იცვლება. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ ლოგიკური კავშირების აგება სხვადასხვა საგნის ფარგლებში, ისინი სულ უფრო და უფრო არჩევენ ე.წ. „უნარების საგანში“ მომზადებას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ უნარების ტესტი, რომელიც ძირითადად იმის შესამოწმებლად იყო მნიშვნელოვანი, რაც ერთი რომელიმე მასწავლებლის ან საგნის გასავითარებელი არ არის, ნელ-ნელა კარგავს თავდაპირველ მიზანს და სულ უფრო ემსახურება ამ მოსამზადებელ კურსებზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე განვითარებული კომპეტენციების შემოწმებას.

მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების მსგავსი ტესტირების ეფექტი მოსწავლეების მოტივაციაზე – მიიღონ სრულფასოვანი განათლება, მხოლოდ მოკლევადიანია. პირველ წლებში, მოტივაცია იზრდება და მოსწავლეები მეტს მეცადინეობენ. მეცადინეობას ტესტირებამდე მრავალი წლით ადრე იწყებენ, რათა საბოლოოდ უფრო განათლებულები და წარმატებულები იყვნენ. ტესტირების შემოღებიდან რამდენიმე წელში შემდგომი თაობის მოსწავლეები, წინა მოსწავლეებსა და მათ რეპეტიტორებზე დაყრდნობით, უკვე იმდენად კარგად იცნობენ ტესტის ნიუანსებს, რომ არჩევენ მხოლოდ ვიწრო მიმართულებით წვრთნას. მაგ., ისინი ვარჯიშობენ ანალოგიების კეთებაში ისე, როგორც ეს უნარების ტესტშია მოცემული. სამაგიეროდ, ანალოგიების გამოყენება რაიმე ფენომენის ახსნისთვის უკვე მეორეხარისხოვანი უნარი ხდება. მეტაფორის პოვნა ტექსტში, ისე, როგორც ეს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტშია, მნიშვნელოვანია, მეტაფორული აზროვნება კი – ნაკლებად.

საინტერესო თემა განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ასევე ერთიანი გამოცდების გავლენაა სტუდენტების მომავალ აკადემიურ წარმატებებზე იმ უმაღლესებში, რომლებშიც მათ ამ გამოცდების მეშვეობით ჩააბარეს. ამ თემაზე საუბარი საინტერესო იქნება მას შემდეგ, რაც გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოაქვეყნებს ორი წლის წინ ჩატარებული კვლევის ანგარიშს ერთიანი ეროვნული გამოცდების ე.წ. „პრედიქტული ვალიდობის“ შესახებ. მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ გამოცდები, ვერც თავისი სტრუქტურითა და ვერც შინაარსით, ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ უმაღლესებში მოხვდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ კონკრეტული უნარები იმისთვის, რომ მაღალი აკადემიური მოთხოვნები დააკმაყოფილონ. პირიქით, გამოცდები განაწყობს სკოლის ბოლო ორი წლის განმავლობაში ისეთ კომპეტენციების განვითარებისკენ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არარელევანტური ან არასაკმარისია ბაკალავრიატის სტუდენტისთვის.

ის, თუ რა განაპირობებს აბიტურიენტის წარმატებას, ტესტის შინაარსი, მეთოდოლოგია და მისი გავლენა სასწავლო პროცესზე აჩვენებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა სულაც არ არის ორიენტირებული სწავლის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე საქართველოში. არც მისი ირიბი შედეგი შეიძლება იყოს ცოდნის მოცულობის რაიმე თვისობრივი გაუმჯობესება. სულაც არ მაქვს ილუზია, რომ სკოლებში რაიმე განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის ცოდნას აძლევენ და ამას გამოცდები უშლის ხელს. ამავდროულად, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და ამ წარმოდგენაში მრავალი საერთაშორისო კვლევა, ადგილობრივი გამოცდილება და დაკვირვება მიწყობს ხელს, რომ ამ ტიპის გამოცდები, ერთი მხრივ, არ აუმჯობესებს ცოდნის ხარისხს და, რაც კიდევ უარესია, უარყოფითად მოქმედებს იმ სკოლებზე, რომლებიც სწორედაც რომ ხარისხიანი განათლების მიღებისთვის მნიშვნელოვანი გარემოს შექმნას ცდილობენ. ეს კი მიუთითებს განათლების პოლიტიკის არაკონსისტენტურობაზე. განათლების პოლიტიკა საქართველოში, ისევე, როგორც სხვაგან, ეფექტური იქნება, თუ ერთი მიმართულებით მიღებული გადაწყვეტილება მეორე მიმართულებას არ აზიანებს. ამ წერილში მხოლოდ განათლების ხარისხზეა საუბარი, მაგრამ შეიძლება ერთიანი ეროვნული გამოცდების სხვა ჭრილშიც, მაგალითად, განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობის კუთხით განხილვა, რაც ასევე პრობლემატურია.

რეკომენდაციები

იმისთვის, რომ განათლების პოლიტიკა საქართველოში უფრო გამართული და შედეგიანი იყოს ხარისხის მიმართულებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების როლი ნელ-ნელა შეიცვალოს. ეს შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე მიმართულებით:

ა) **გამოცდების როლი უმაღლესებში მიღებისას უნდა შემცირდეს** – კორუფციის საფრთხეების გათვალსწინებით უნდა შემუშავდეს გამოცდების გარდა დამატებითი კრიტერიუმების სისტემა, რომელიც ასევე იქნება გათვალისწინებული მოსწავლეების უმაღლესში მოხვედრისთვის. ეს კრიტერიუმები უფრო ფართო კოგნიტურ და სოციალურ უნარებსა და გამოცდილებებს უნდა მოიცავდეს, ვიდრე ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების მეშვეობით გამოიცდება. ეს გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეების მიერ სკოლაში თუ სკოლის მიღმა მიღებული წარმატებების ობიექტური შეფასებებისა და შემდეგ ამ მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა უნდა შეიქმნას. ასევე, გულისხმობს ეს უნივერსიტეტების მიერ დამატებითი კრიტერიუმების დაწესებისა და შემოწმების შესაძლებლობის შემოღებას.

ბ) **უნდა შეიცვალოს გამოცდების სტრუქტურა და ფორმატი** – რაც შეიძლება მეტად უნდა შემცირდეს გამოცდების რაოდენობა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, რაც შეიძლება მეტად უნდა იქნეს გამოყენებული კრიტერიუმებზე დაყრდნობით ტესტების შექმნის მეთოდოლოგია და სასერტიფიკაციო გამოცდების ელემენტები. ასევე, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი კითხვები, რომლებიც დაბალი დონის უნარების გამოყენებას (მეხსიერება მაგ.) ითხოვს.

გ) **გამოცდების შინაარსი და გამოსაცდელი უნარები მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას**

ეს რეკომენდაციები განხორციელებადი რომ იყოს, ტექნიკური მომზადების დამატებითი სისტემების გარდა, პოლიტიკური ლიდერებისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ განათლების ხარისხზე ზრუნვა კორუფციასთან ბრძოლასთან შედარებით არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა. ერთის ხარჯზე მეორის მიღწევა განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით უაზრობაა. ხარისხის გაუმჯობესება მრავალი კომპლექსური ნაბიჯისგან შედგება და შეუძლებელია, ეს მიმართულება განავითარო სხვა მიმართულებაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად. ამასთან ერთად კი, აუცილებელი პირობა უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალი ხარისხის მიღწევა მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა აფხაზეთის განათლების სისტემის თვალსაჩინო მუშაკი, პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

გულადი ნესტორის ძე ძიძიგური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი

პატივცემულო მკითხველებო, ვაგრძელებთ რუბრიკას „საგანმანათლებლო გზამკვლევი“. პირველი ოთხი წერილი ეხებოდა სკოლის საქმიანობის ისეთ საკითხებს როგორიცაა: „საგანმანათლებლო დაწესებულების სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში გადაცემის წესი“ (აუქციონი, კონკურსი).

ამჯერად შემოგთავაზებთ ჩვენ მიერ დამუშავებულ რამდენიმე თემას, რომელიც საჯარო სკოლის (ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების) ფინანსურ საკითხებს შეეხება.

კერძოდ, დღევანდელი თემა იქნება – სახელმწიფო შესყიდვები. მოგეხსენებათ, 2010 წლიდან ამოქმედდა ახალი ცვლილებები კანონში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ. აღნიშნული კანონი და ასევე დებულება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ საკმაოდ დიდი მოცულობისაა და ჩვენი დღევანდელი თემის ფარგლებში ყველა საკითხის განხილვა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ, ჩვენი შეხედულების მიხედვით, დავამუშავეთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა საჯარო სკოლისთვის. უფრო კონკრეტულები რომ ვიყოთ, დღევანდელი თემა იქნება ერთ პირთან მოლაპარაკების შედეგად განსახორციელებელი შესყიდვები. ასეთი ტიპის შესყიდვები დამახასიათებელია აბსოლუტურად ყველა საჯარო სკოლისთვის. როგორც ჩვენი გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, საჯარო სკოლებში ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზების დიდი ნაწილი სწორედ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე მოდის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დღევანდელი თემა საინტერესო და ახალი ინფორმაციის მომცემი იქნება არა მარტო დაწესებულების ფინანსური მართვის რგოლისათვის, არამედ დირექციისთვისაც. მომდევნო წერილებში შემოგთავაზებთ, ასევე, ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ – ფასთა კოტირების და ტენდერის ჩატარების მეშვეობით.

რაც შეეხება დღევანდელ თემას, აქ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის წესი განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონითა და დებულებით – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“.

შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუ:

- შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 50.000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 100.000 ლარს;
- საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა. ექსკლუზიურ უფლებად საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოს შესრულებაზე, მომსახურების გაწევაზე არ განიხილება შემთხვევა, როდესაც არსებობენ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ ჩანაცვლებადი საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა;
- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში, შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, შემსყიდველ ორგანიზაციაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წერილობითი თანხმობის საფუძველზე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (იხ. დებულება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ).

I ეტაპი – შესყიდვების გეგმა

ნებისმიერი შესყიდვის განხორციელება, თუნდაც მცირეფასიანი საქონლის, გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის შესყიდვების გეგმაში. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება შესაძლებელია როგორც საბიუჯეტო შემოსავლებიდან (ვაუჩერი და სხვ.), ასევე სკოლის სხვა ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. ორივე შემთხვევაში, მოქმედებს სახელმწიფო შესყიდვების ერთი და იგივე წესები. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების **გეგმა** და შემდგომში შესყიდვების **ანგარიში** უნდა წარედგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია სკოლისთვის საჭირო ყველა შესყიდვის წინასწარ განსაზღვრა და შესაძლებელია საჭირო გახდეს გეგმის კორექტირება. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილების შემთხვევაში, სააგენტოს უნდა მიეწოდოს სახელმწიფო შესყიდვების **კორექტირებული გეგმა**. ფინანსური პარამეტრით ცვლილების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ დამატებით უნდა მოახდინოს წერილობითი ფორმით მისი დასაბუთება.

II ეტაპი – შესყიდვების განხორციელება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებზე: ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე; ასევე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე, მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე; კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (იხ. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 1.)

მნიშვნელოვანია: საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია ელექტრონული მეშვეობით. გამარტივებული ელშესყიდვა შესაძლებელია – სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10.1 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან 2 000 ლარამდე ღირებულების საქონლისა და მომსახურების და 5 000 ლარამდე ღირებულების სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის დროს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირდაპირ დადებით ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე ანდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის, ან ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებული პროცედურებით (იხ. მუხლი 10.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები) – აღნიშნული პროცედურების განხორციელება სავალდებულო გახდება 2010 წლის სექტემბრიდან.

თქვენი მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებელია მოყვანილი პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემდგომ წერილებში გამოქვეყნება.

რაც შეეხება ჩვენი დღევანდელი თემის ძირითად საკითხებს: ერთ პირთან **მოლაპარაკებას** შესყიდვის განხორციელების შესახებ აწარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი (პირები). ხელმძღვანელი უფლებამოსილია, კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **ხელშეკრულება**.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ შესაძლებელია იყოს როგორც **ერთჯერადი,** ასევე **მიმდინარე** (მიმდინარე – არაუმეტეს 1 საბიუჯეტო წლისა). მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელების საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის მიღების შემდეგ შეტყობინების სახით უნდა ეცნობოს სააგენტოს. მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხორციელდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა განხორციელდეს საქონლის მიწოდება ან სამუშაოს შესრულება. მხოლოდ ამის შემდგომ, ანუ მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებლებს საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველს არ აქვს უფლება სახელშეკრულებო თანხის წინასწარ ანაზღაურებისა. ჯერ უნდა განხორციელდეს საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს თანხის ანაზღაურება. საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა დასტურდება **მიღება-ჩაბარების** აქტით. მიღება-ჩაბარების აქტს აფორმებენ უფლებამოსილი მხარეები.

გამონაკლისი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული.

კიდევ ერთხელ მოგაწოდებთ მოკლე ინფორმაციას იმ ეტაპების შესახებ, რომლებიც დაცული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას:

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **ხელშეკრულების** გაფორმება.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, შესაბამისი **მიღება-ჩაბარების** აქტით.
3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით გაწეული მომსახურებისთვის ან/და მოწოდებული საქონლისთვის **თანხის ანაზღაურება** (თანხის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ).

III ეტაპი – შესყიდვების ანგარიში

შესყიდვის პროცესი აისახება შესყიდვის შესახებ **ანგარიშში**, რომლის შედგენის, წარდგენისა და შენახვის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ჩვენ შემთხვევაში, ანუ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში და გაფორმებული ხელშეკრულებების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიში წარედგინება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს **ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს მომდევნო კვარტლის პირველი თვის 30 რიცხვისა**. ანგარიშების წარდგენა ხდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დებულების „დანართი N4“-ის შესაბამისად. ანგარიშს თან უნდა დაერთოს საანგარიშო პერიოდში დადებული ხელშეკრულებების და მათში განხორციელებული ცვლილების (ასეთების არსებობის შემთხვევაში – დამადასტურებელი დოკუმენტების) ასლები.

ასევე გასათვალისწინებელია: შესყიდვების შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში (ამოქმედდა 2010 წლის 1 მარტიდან).

ყოველივე ზემოთ მოყვანილი არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც გასათვალისწინებელია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. შემდგომ წერილებში შემოგთავაზებთ ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ – ფასთა კოტირების და ტენდერის ჩატარების მეშვეობით. ასევე, თქვენი მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში – ინფორმაციას ელექტრონული შესყიდვების განხორციელების შესახებ.

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი „მ.ე.ს. ექსპერტი“

ყველა პედაგოგს!

კვალიფიციურ საკონსულტაციო საბჭოსა და საგანმანათლებლო ცენტრის „ლიბო მნტ“ დახმარებით გამოვიდა **უნიკალური** სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ მოემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ თემებს: **სასწავლო გარემო, მოტივაცია და კომუნიკაცია, სასწავლო პროცესი, შეფასება, სწავლების სტრატეგიები და მეთოდები**.

ყველა თემაზე მოცემულია საკითხავი მასალა, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები და სიტუაციური ამოცანები, ტესტები და მათი პასუხები.

სახელმძღვანელო შეგიძლიათ შეიძინოთ ორგანიზაციის ოფისში:
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №128.
საკონტაქტო ტელეფონი: 8(22) 478919; 893 577072 (ქრისტი)

MES-EXPERT

თქვენი შეხედულებით პრობლემატური კითხვების დასმა და კონკრეტული სატრენინგო თემების მოთხოვნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ელფოსტის მეშვეობით, ასევე „მ.ე.ს.–ექსპერტის“ დირექციასა და გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან სატელეფონო კონტაქტით.

ინფორმაცია ჩვენ შესახებ

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფის – „მ.ე.ს.–ექსპერტი“ ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის გარდა თქვენ ასევე შესაძლებლობა გაქვთ, პირადი მოლაპარაკების საფუძველზე, მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

- **ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი (სრული დოკუმენტური შემოწმება);**
- **იურიდიული მომსახურება – ერთჯერადი და მიმდინარე;**
- **ფინანსური მომსახურება (ურთიერთობა შესყიდვების სააგენტოსთან და სხვ.) – ერთჯერადი და მიმდინარე;**
- **აუდიტი (უძრავ/მოძრავი ქონების, საიჯარე ფართისა და პირობების შეფასება და სხვ.);**
- **საკონსულტაციო მომსახურება;**
- **ტრენინგების შეკვეთა და სხვ.**

ჩვენი ელფოსტის მისამართია: mes_expert@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონები:
8(99) 92 25 95 – გიორგი ტრაპაიძე, 8(99) 30 52 55 – რევაზ გულარაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აცხადებს მასწავლებლებისა და საგნის სპეციალისტების შესარჩევ კონკურსს შემდეგ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად: „ასწავლე საქართველოსთვის“, „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“

„ასწავლე საქართველოსთვის“

პროგრამის აღწერილობა

პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ხორციელდება „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების“ პროექტის კომპონენტის („მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება“) ფარგლებში. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2009 წელს. საქართველოს რეგიონებში ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იმ სკოლებში, სადაც არის მასწავლებლების ვაკანსიები, ხდება საგნის სპეციალისტების დასაქმება.

პროგრამის მიზანი

■ ვაკანსიების მხრივ პრობლემურ სკოლებში კვალიფიციური კადრების მოზიდვა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;

■ სასწავლო პროცესში მოტივირებული, ახალგაზრდა, ენერგიული და ლიდერის თვისებების მქონე სპეციალისტების ჩართვა.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია

უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ პირს, რომელიც არის კონკრეტული საგნის სპეციალისტი.

■ პირველ ეტაპზე, პროგრამაში მონაწილეობის მსურველები ავსებენ შესაბამის ანკეტას.

■ კონკურსის მეორე ეტაპზე, ტარდება საგნობრივი ტესტირება.

■ პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საგნობრივ ტესტს, გაივლიან გასაუბრებას.

კონსულტანტ-მასწავლებლის სამუშაოს აღწერა

შერჩეული მასწავლებლები ინტენსიური ტრენინგების (პედაგოგიურ უნარ-ჩვევებსა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში) გავლის შემდეგ, დასაქმდებიან საქართველოს რეგიონების სკოლებში. მასწავლებლები სკოლის დირექციასთან თანამშრომლობით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სკოლაში კონკრეტული საგნის სწავლების პრობლემატიკიდან და საჭიროების ანალიზიდან გამომდინარე, შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას. მასწავლებლები, ყოველი სასწავლო ტრიმესტრის და წლის ბოლოს, მოამზადებენ ანგარიშს სწავლების პროცესის მიმდინარეობის და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ. მასწავლებელმა სწავლების დროს უნდა გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდიკა. მასწავლებელი ანგარიშვალდებული იქნება როგორც სკოლის დირექციის, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წინაშე, მას შესაძლებლობა ექნება, მუდმივად მიიღოს ინფორმაცია ცენტრის მიერ განხორციელებული პროგამების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე მასწავლებლის პროფესიაში არსებული სიახლეების შესახებ, რომელიც პერიოდულად უნდა გააცნოს თავის კოლეგებს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სკოლაში ამ სიახლეების დანერგვას. პროექტის ფარგლებში, სურვილის მიხედვით, მასწავლებლები სკოლებში დასაქმდებიან ერთი ან ორი წლით და ამ პერიოდის განმავლობაში იზრუნებენ სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

■ განათლების ბაკალავრის ან მაგისტრის, საგნის ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, ან პროფესიული განათლება (2010 წლის სექტემბრისთვის);

■ საგნის კარგი ცოდნა და მაღალი ინტერესი საგნისადმი;

■ პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);

■ გამართულად მეტყველების და აზრის კარგად გადმოცემის უნარი;

■ ინტერესი განათლების სფეროსადმი;

■ კანდიდატი უნდა იყოს მოტივირებული, ენერგიული, ლიდერის თვისებების მქონე პიროვნება.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა და პირობები

თითოეული მასწავლებლისთვის ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ერთი ან ორი წლით. გარდა იმ ანაზღაურებისა, რომელიც განსაზღვრული იქნება სკოლაში კონკრეტული რაოდენობის საათებისთვის, მასწავლებელს დაერიცხება სტიპენდია 500 ლარის ოდენობით. პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებს ეს პერიოდი ჩაეთვლებათ სტაჟად, რის შემდეგაც, სურვილის შემთხვევაში, შეძლებენ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლას.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებ გვერდზე

www.tpdc.ge – „კონკურსები“

შევსებული სააპლიკაციო ფორმა გთხოვთ, გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე

sakartvelo2010@gmail.com

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია ნებისმიერ რესურსცენტრში

ცხელი ხაზი: 95 58 36

„კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“

პროგრამის აღწერილობა

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებული სიმწვავით დგას სახელმწიფო ენის სწავლების და ამ ენაზე კომუნიკაციის პრობლემა. დასტურდება არაერთი ფაქტი, როდესაც ასეთი რეგიონების სკოლებში ქართულის მასწავლებლებიც კი არ ფლობენ საკომუნიკაციო ქართულს. საჭიროა, მასწავლებლებმა გაითავისონ ქართული ენის ცოდნის აუცილებლობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია, რათა მოსწავლეებს გადასცენ ქართულ სივრცეში ცხოვრების, სწავლისა და მუშაობისათვის საკმარისი ენობრივი ცოდნა.

მიზანი

■ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ქართული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება;

■ ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესება.

პროგრამის ფარგლებში, 2009 წელს, შეირჩა 50 მასწავლებელი, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სოფლებში ასწავლიან ქართულ ენას და ლიტერატურას. 2010 წელს, დამატებით, 14 კადრის აყვანაა დაგეგმილი, შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ სპეციალისტებს და უკვე მოქმედ ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლებს. კონკურსის წესით შერჩეულ სპეციალისტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგი და გაუფორმდებათ ხელშეკრულება.

სამუშაოს აღწერა

ხელშეკრულების საფუძველზე, მოსწავლეების სწავლების გარდა, მასწავლებლები მოამზადებენ მათი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს და თემში ქართული ენის შესწავლის მსურველებს.

შერჩეული მასწავლებლების პასუხისმგებლობაა, ასევე, სკოლაში ქართული ენის კლუბის შექმნა: სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, თავიანთ თემში გარემოს გააქტიურება, გამოცოცხლება. კლუბებში შეიძლება მოეწყოს ქართული ენის საღამოები/კონკურსები, აღინიშნოს დღესასწაულები, ამ ღონისძიებებში ჩართული იქნებიან არა მარტო მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ მშობლებიც.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

■ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის 2-წლიანი გამოცდილება.

■ სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში ან კახეთში (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში) ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო;

■ უმაღლესი განათლება (ქართული ფილოლოგიის დარგში);

■ რუსული და სომხური ან აზერბაიჯანული ენების საბაზო დონეზე ცოდნა სასურველია;

■ საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის გამოყენების უნარი სასურველია;

■ კომუნიკაბელურობა, უცხო გარემოში ადაპტაციის უნარი.

კანდიდატების შერჩევა მოხდება ტესტირების საფუძველზე.

ანგარიშგება და ანაზღაურება

■ თითოეულ მასწავლებელთან და ტრენერთან ცენტრი გააფორმებს ხელშეკრულებას, სადაც განისაზღვრება მათი საქმიანობის სფერო და აღწერილობა. მასწავლებელს, დამატებით, ექნება საკონტრაქტო ვალდებულება სკოლასთან.

■ მასწავლებელი უნდა იღებდეს ინფორმაციას ცენტრის მიერ ამ რეგიონებში განხორციელებულ ყველა პროექტზე, უნდა თანამშრომლობდეს რესურსცენტრებთან და ანგარიშვალდებული იყოს სკოლასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან.

■ მასწავლებლის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 1000 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე

www.tpdc.ge – „კონკურსები“

შევსებული სააპლიკაციო ფორმა გთხოვთ, გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე

meoreena@gmail.com

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია ნებისმიერ რესურსცენტრში

ცხელი ხაზი: 95 58 36

„ქართული მწერლობის სათავეებთან“

29 აპრილს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, მე-10 საჯარო სკოლის (დირექტორი – **ბელა მარუქაშვილი**) მოსწავლეებმა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს – „ქართული მწერლობის სათავეებთან“ (იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მიხედვით).

ორი წელია, რაც მე-10 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, ლიტერატურულ კაფეს ჩაეყარა საფუძველი (ხელმძღვანელი – **ნელი გუგუტიშვილი**), რომელიც არაერთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორი გახდა.

26-30 აპრილი სკოლაში კვირეულის დღეებად გამოცხადდა, რომლის ფარგლებშიც, არაერთი ლამაზი სანახაობა გაიმართა. ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გამართული საღამოც ამის ნათელი მაგალითია.

ნელი გუგუტიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„მოსწავლეებმა შემომთავაზეს, პროგრამული მასალიდან, რომელიმე მწერლის შემოქმედებითი საღამო მომეწყო. რადგან, ძირითადად, ლიტერატურულ კაფეში ჩართული ბავშვები IX-X კლასის მოსწავლეები არიან, გადავწყვიტე, მათთვის შემეთავაზებინა თემა – ქართული მწერლობის სათავეებთან. მათ შეთავაზება მოიწონეს და ერთობლივად დავიწყეთ მუშაობა იაკობ ცურტაველის ნაწარმოების მიხედვით ლიტერატურული საღამოს მოსაწყობად. მოსწავლეებმა ერთი თვის განმავლობაში, ნაწარმოების შესახებ, უამრავი მასალა მოიძიეს და შეისწავლეს. საღამო არ არის მხოლოდ ლიტერატურული. მოსწავლეებმა თავად ისურვეს, რომ მსმენელისთვის წარმოედგინათ მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოს ისტორიის შესახებაც. სცენარი, ძირითადად, ნინო ქუთათელაძის პოემის „შუშანიკის საგალობელი“ მიხედვითაა შედგენილი. გამოყენებულია ვლადიმერ ალფენიძის „ცურტავის ზარებიც“. ღონისძიების გამართვა სკოლაშიც შეგვეძლო, მაგრამ სულიერ ცენტრში ჩატარებული საღამო მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ“.*

ღონისძიება საგალობლით „შენ ხარ ვენახი“ დაიწყო. მოსწავლეებმა წარმოადგინეს მეცნიერთა გამონათქვამები „შუშანიკის წამების“ შესახებ, კითხულობდნენ ამონარიდებს სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:**დარინა მეტრეველი, იმედა მესხორაძე, თამუნა ჯავახიშვილი, თამუნა ბერძენიშვილი, ირინა შენგელია, მარი სარჯველაძე, ლელა კალაიშვილი, მედეა ცირამუა, თეონა კურტანიძე.**

დარინა მეტრეველი: *„ჩვენი სურვილი იყო, რომ ღონისძიება თეატრალურ სანახაობად არ გადაგვექცია, ამიტომ ზუსტად ვკითხულობ ნაწარმოებიდან ამონარიდებს. ლიტერატურის სიყვარულმა ლიტერატურულ წრეში გამაწევრიანა, მომწონს დისკუსიები, მსჯელობა ამა თუ იმ აქტუალურ საკითხებზე. იმედი მაქვს, კიდევ არაერთ ღამაზ ღონისძიებას გავმართავთ.“*

ლელა კალაიშვილი: *„საღამოზე წარმოვადგენ სასულიერო პირს. ვნერვიულობ, იმიტომ რომ ამ დარბაზში საღამოს გამართვა ძალიან საპასუხისმგებლოა, მით უმეტეს, როცა „შუშანიკის წამებას“ ვეხებით და სკოლაც უნდა ვასახელოთ. ვფიქრობ, ჩვენ მიერ მომზადებული კომპოზიცია საინტერესო და შთამბეჭდავი იქნება.“*

მედეა ცირამუა, თვითმმართველობის ხელმძღვანელი: *„ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, რომ ღონისძიება ამ ცენტრში გაგვემართა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრის ხელმძღვანელობას, რომ ამის საშუალება მოგვცა. სკოლაში ლიტერატურული კაფეს გახსნა ჩემი იდეაა. მასში მუდმივად 19 წევრი ვართ. ყოველ პარასკევს ვაწყობთ შეხვედრებს, დისკუსიებს, ლიტერატურულ საღამოებს, დღევანდელი საღამო ჩვენი პირველი გასვლითი ღონისძიებაა.*

ბელა მარუქაშვილი: *„დღეს მოსწავლეებმა განახორციელეს ლიტერატურულ-ისტორიული ექსკურსი ქართული მწერლობის სათავეებთან. მათ სასწავლო წლის დასაწყისში გაიარეს „შუშანიკის წამება“. ძალიან დასაფასებელი და მნიშვნელოვანია, რომ მათ შემოგვთავაზეს ნაწარმოების არა თეატრალური წარმოდგენა, არამედ ამონარიდები ნაწარმოებიდან და თავიანთი მოსაზრებები. ვაფასებ მათ ამ მონდომებას. მათივე ინიციატივით გადაწყდა ღონისძიების ამ ცენტრში გამართვა. თავად მოაგვარეს ეს საკითხიც. ღონისძიება ტარდება ლიტერატურული კლუბის ინიციატივით, ეს არის მათი პირველი გასვლითი დიდი ღონისძიება. სკოლაში ხშირად ვატარებთ ლიტერატურულ საღამოებს. იმედი მაქვს, ჩვენი მოსწავლეები საინტერესო საღამოებით ბევრჯერ გაგვახარებენ.“*

მირანდა ლომაური, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„საღამო ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა. რადგან „შუშანიკის წამება“ ჰაგიოგრაფიული და სასულიერო ჟანრის ნაწარმოებია, მოსწავლეებმა მიიღეს გადაწყვეტილება არ ყოფილიყო როლური თამაში, ღრმად და საინტერესოდ განიხილეს ნაწარმოები. მივესალმები მათ ასეთ გადაწყვეტილებას. “*

კვირეულის ფარგლებში, 30 აპრილს, სკოლის სააქტო დარბაზში კიდევ ერთი საღამო გაიმართა, რომელიც **ნოკო გომელაურის** ხსოვნას მიეძღვნა.

„ჩვენ გვიყვარს ნიკო“ – ასე ერქვა საღამოს, რომლის ორგანიზატორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მედეა შენგელია** გახლდათ.

VIII -IX კლასის მოსწავლეებმა: **თამარ ბერძენიშვილმა, ცოტნე ჩახავამ, გვანცა თუთბერიძემ, ანა მაგრაქველიძემ, ანა დურგლიშვილმა, ანა არაბულმა, ელენე ამბიძემ, მარიკა ქორიძემ, ნათია ნავროზაშვილმა, ნინო ელიკაშვილმა, სალომე კობალაძემ** და **ანი კაციტაძემ** გააშუქეს ნიკო გომელაურის შემოქმედება, წაიკითხეს რჩეული ლექსები და საკუთარი ლექსები მიუძღვნეს საყვარელ მსახიობსა და პოეტს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თავისუფალი თეატრის ხელმძღვანელი **ავთო ვარსიმაშვილი**, მსახიობები: **კახა მიქიაშვილი, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე, აპოლონ კუბლაშვილი**.

დასასრულ, მსახიობებმა მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებს საღამოს მოწყობისთვის და ისაუბრეს ნიკო გომელაურზე, როგორც მეგობარზე, შემოქმედზე და საუკეთესო პიროვნებაზე.

თამარ ჭანტურია

ილუსტრირებული შთაბეჭდილებები

თბილისის 172-ე საჯარო სკოლაში მიმდინარე კვირეული დასრულდა პრეზენტაციით, რომელზეც სკოლის VII-VIII-კლასელებმა წაკითხული ნაწარმოებების ილუსტრაციები წარმოადგინეს. საპრეზენტაციოდ მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებები არ იყო შერჩეული. მოსწავლეებმა მხატვრების შესახებაც მოიძიეს ინფორმაცია და მათი შემოქმედების ამსახველი სტენდები გამოფინეს სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც პრეზენტაციაკონკურსი გაიმართა.

კვირეულის ორგანიზატორები იყვნენ: **ნელი ოდიკაძე**, ხელოვნების მასწავლებელი და **ფარიდა კიკნაძე**, ბიბლიოთეკის გამგე. ქალბატონ ნელის ორგანიზებით სკოლაში არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარებულა. ქალბატონი ფარიდაც აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან მოსწავლეები. ქალბატონი ფარიდა ლიტერატურის შერჩევაშიც ეხმარება და წიგნის დაბრუნების დროს მათი შთაბეჭდილებებითაც ინტერესდება. ბიბლიოთეკაში საინტერესო ალბომები ინახება: ერთი სკოლის ისტორიას ეძღვნება – 1982 წლიდან დღემდე; მეორეში თავმოყრილია მასალა სკოლაში ჩატარებულ შეხვედრებზე, ლიტერატურულ საღამოებსა თუ მწერლებთან სტუმრობებზე; მესამე ალბომი ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება. სამივე ქალბატონი ფარიდას დამზადებულია.

პრეზენტაციას უძღვებოდნენ მერვეკლასელები: **მერი მაჭარაშვილი** და **სოფო ასლამაზიშვილი**.

ნელი ოდიკაძე, ხელოვნების მასწავლებელი: *„ხელოვნების მასწავლებლებს პროგრამით მოგვეთხოვება წიგნის კვირეულის ჩატარება, ასეთი თემა გვაქვს სახელმძღვანელოში. ჩავატარეთ კვირეული და ბავშვებს წაკითხული წიგნების დასურათება ვთხოვეთ. დღეს ვიხილეთ შედეგები, თუ როგორ გაართვეს თავი ბავშვებმა ამ დავალებას. თითოეულმა რამდენიმე ნაწარმოების ილუსტრაციები წარმოადგინა. ძალიან კმაყოფილი ვარ პრეზენტაციით. ვფიქრობ მსგავსი ღონისძიებები კარგ შედეგს გამოიღებს – ბავშვები წიგნით კიდევ უფრო დაინტერესდებიან.“*

ფარიდა კიკნაძე, ბიბლიოთეკის გამგე: *„ეს მოსწავლეები აქტიური მკითხველები არიან. როგორც დღეს დავინახეთ, ისინი აქტიური მხატვრებიც ყოფილან, შესანიშნავი ილუსტრაციები წარმოგვიდგინეს. კმაყოფილი ვარ, რადგან მიზანი მიღწეულია – მოზარდებმა არაერთი წიგნი წაიკითხეს, გააანალიზეს და თავისებურად დაასურათეს.“*

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: **ლალი ბენაშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი – ჟიურის თავმჯდომარე; **ნინო გოგოლიძე**, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში; **თათია ამბარდნიშვილი**, XI კლასის მოსწავლე; **ნოდარ ქარენაშვილი**, XI კლასის მოსწავლე; **მარიამ ჩეკურიშვილი**, X კლასის მოსწავლე. ჟიურის წევრობა მეხუთეკლასელ **სოსო მათიაშვილსაც** მიანდეს. ის ძალიან კარგად ხატავს და უკვე პერსონალური გამოფენაც ჰქონდა. საინტერესო, შემოქმედი მოსწავლეა.

პირველი ადგილი ჟიურიმ ერთხმად მიაკუთვნა მერვეკლასელ **სოფო ჩიკვილაძეს,** მეორე ადგილზე გავიდა მეშვიდეკლასელი **ქეთევან კულულაშვილი**, მესამეზე – მერვეკლასელი **შალვა სექანია**.

ლალი ბენაშვილი, ჟიურის თავმჯდომარე: *„პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ ძალიან ღამაზ გარემოში მიმდინარეობდა ნაშრომების პრეზენტაცია. ქალბატონი ნელი საოცრად ენერგიული მასწავლებელია, რაც დღევანდელ ღონისძიებაზეც აისახა. ის ძალიან უყვართ მოსწავლეებს. ბავშვებს მხატვრობა შეაყვარა. ძალიან წიგნიერი მოსწავლეები გვყავს, რაც, უდავოდ, ქალბატონ ფარიდას დამსახურებაა. ძალიან საინტერესო იყო პრეზენტაციები მხატვრების შესახებ. ისეთ გასაოცარ გარემოში მოვხვდი, რომ გაკვირვებულიც კი დავრჩი და სურვილი გამიჩნდა, ისევ გადავიკითხო მხატვართა ბიოგრაფიები, გადავხედო მათ ნამუშევრებს, უკეთ შევისწავლო მხატვრობა.*

ბევრი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი და ყველა ძალიან კარგად და ღამაზად შესრულებული. ძნელი იყო ამდენ ნაშრომში გამარჯვებულის გამორჩევა, მაგრამ პირველი ადგილის მფლობელი მაინც გამოვლინდა. კონკურსიც ხომ სწორედ ამიტომ ტარდება, რომ საუკეთესო გამოვლინდეს. ჟიური ობიექტური იყო, მისმა წევრებმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეარჩიეს ფავორიტი. სასიამოვნოა, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა და ერთხმად დავასახელეთ გამარჯვებული.

მინდა აღვნიშნო, რომ არა მარტო ილუსტრაციები მომეწონა, არამედ მოსწავლეთა საინტერესო მსჯელობა წაკითხული ნაწარმოებების ირგვლივ. მათ ნამდვილად ეტყობათ მასწავლებლების მზრუნველი ხელი.

დიდი მადლობა წამყვანებს. მათი თანადგომა კონკურსის მონაწილეებს ამხნევებდა და გაბედულებას მატებდა.

კიდევ ერთს დავამატებდი, რამდენიმე თვეა, რაც სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს. მასთან მუშაობა ყველას გვიხარია, ძალიან მშვიდ გარემოში ვმუშაობთ. ძალიან კარგი დირექტორია.“

ელისო დოლაკიძე, 172-ე სკოლის დირექტორი: *„სამი თვეა, რაც ამ სკოლას ვხელმძღვანელობ. მოსვლის დღიდან მივხვდი, რომ საოცარ სამყაროში მოვხვდი. უნიჭიერესი ბავშვები არიან, ძალიან მონდომებულები, რაც შეიძლება მეტი ისწავლონ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ მასწავლებლისგან. ასევე, პედაგოგები არიან მობილიზებულები და მოწოდებულები, რაც შეიძლება კარგად აკეთონ თავიანთი საქმე. პედაგოგის პროფესია ყველაზე მნიშვნელოვანია – ჩვენ შეხება გვაქვს ბავშვთან, რომელიც უნდა აღვზარდოთ და ჩამოვაყალიბოთ, როგორც პიროვნება. მიმაჩნია, რომ ჩვენი სკოლის პედაგოგები ამ საპასუხისმგებლო და საპატიო მისიას ძალიან ღირსეულად ართმევენ თავს.*

მოსწავლეებს რომ ვუსმენდი, ერთი აზრი მომივიდა – სექტემბრიდან ავიყვანოთ პედაგოგი, რომელიც მათ საკუთარი ნაშრომების პრეზენტაციის ხელოვნებას შეასწავლის. წრეში მეცადინეობა უფასო იქნება და ყველა მსურველს მიეცემა საშუალება, ისწავლოს საკუთარი ცოდნის სათანადოდ წარმოჩენა.“

დასრულდა პრეზენტაცია და სკოლის ბიბლიოთეკა ნელ-ნელა დაცარიელდა. ვიდრე ქალბატონ ფარიდას დავემშვიდობებოდით, მას უმცროსკლასელებმა მოაკითხეს – წაკითხული წიგნები დააბრუნეს. სასიხარულოა, როცა სკოლის ბიბლიოთეკა ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა ცხოვრებაში. წიგნისა და მოზარდის დაახლოებაში ხომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ სკოლის ბიბლიოთეკებმა უნდა იტვირთონ.

ლალი თვალაგეიშვილი

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

განვითარების თეორიები

რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

დასაწყისი იხ. №12, №13

ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის მომსახურება

მშობლებს მივყავარ ექიმთან, როცა ავად ვარ. მათ შეუძლიათ მატარონ საბავშვო ბაგაში. ასევე, თუ დაგვჭირდა, შეუძლიათ დახმარების მიღება სოციალური სამსახურების და კომპეტენტური პირებისგან. მათ იციან, რომ მე უსაფრთხოდ ვარ, რადგან პოლიცია იცავს ჩვენს ოჯახს.

<u>მე ვარ</u>

საყვარელი და მიმზიდველი ხასიათის

მშობლები და სხვებიც მეუბნებიან, რომ ვუყვარვარ; მიღიმიან, როცა ოთახში შევდივარ. მე უმეტესად ბედნიერად ვგრძნობ თავს და ვხტუნავ, ვცეკვავ და ვიცინი. მომწონს თამაში და გართობა. ზოგჯერ მომწონს, როცა მეხუტებიან, ხელში მიყვანენ და მკოცნიან. მე დიდხანს არ ვარ ხოლმე აღელვებული ან მოწყენილი.

მოსიყვარულე და ემპათიური

მე ვაძლევ სათამაშოს დედაჩემს ან მეგობარს, როცა ისინი მოწყენილები არიან ან ტირიან. ვტირი, როცა ჩემი და/ძმა ტირის და მათ დამშვიდებას ვცდილობ, რამეს ვუნაწილებ. ჩემს მშობლებს ვეუბნები, რომ მიყვარს ისინი და მათთვის ნივთები მიმაქვს, როცა მთხოვენ. მე მომწონს სხვების დახმარება და მათაც იციან, რომ მათზე ვზრუნავ.

საკუთარი თავით ამაყი

მე ვიცი, რომ დამოუკიდებლად ჭამა და ჩაცმა შემიძლია. სათამაშო სახლებსა და ხიდებს ვაშენებ. ვმეგობრობ ბავშვებთან. მე ჩემი თავი მომწონს.

დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი

მე თვითონ შემიძლია ვაკეთო რაღაცეები. ვცდილობ ისე გავაკეთო, როგორც მასწავლე. მსიამოვნებს, როცა თვითონ ვაკეთებ რაიმეს და თანაც სწორად; მწყინს ან ვჭირვეულობ, როცა მეშლება. მე ვიცი, რა მოყვება ჩემს ქცევას.

იმედით, რწმენით და ნდობით სავსე

მე მჯერა, რომ ყველაფერი მოგვარდება. ყოველ ახალ დღეს ხალისით ველი. მე ვსწავლობ, რა არის კარგი და ცუდი და რა უნდა ვაკეთო და რა – არა. მე ვენდობი ირგვლივ მყოფებს.

<u>მე შემიძლია</u>

ურთიერთობა

მე შემიძლია გამოვხატო და სიტყვებით გამოვთქვა, რაც მინდა. ხშირად ვამბობ, რას ვგრძნობ. ვსწავლობ სხვების მოსმენას, მათი გრძნობების გაგებას და თანაგრძნობას. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთის გვესმის და ერთმანეთს გულს არ ვტკენთ.

პრობლემის მოგვარება

მე შემიძლია პრობლემის გამოხატვა, ხშირად შემიძლია მანამ ვეცადო, სანამ პრობლემას არ გადავჭრი. ისიც ვიცი, როდის მჭირდება სხვისი დახმარება და ვითხოვ კიდეც მას.

ვმართო საკუთარი გრძნობები და იმპულსები

მე ვიწყებ სიტყვების მორგებას ჩემს გრძნობებთან და იმის გარჩევას, განვიცდი თუ არა რამეს ნამდვილად. ვიწყებ საკუთარი თავის დამშვიდების სწავლას. ვცდილობ, არავის ვავნო.

საკუთარი და სხვისი ხასიათი შევაფასო

მე უკვე ვიწყებ იმის მიხვედრას, ვინ იმოქმედებს სწრაფად და ვინ – უფრო ნელა. ვიწყებ იმის გაგებას, თუ ვინ არის უფრო გაბედული, ვინ – ფრთხილი და წინდახედული. ვსწავლობ საკუთარი და სხვისი ხასიათის გაგებას. მე ამაში დახმარება მჭირდება.

სანდო ურთიერთობების მოძებნა

მე ჩემს მომვლელებს ვენდობი. ვსწავლობ, რომ სხვებსაც შემიძლია ვენდო. არსებობენ ადამიანები, რომელთაც შემიძლია მივმართო, როცა მოწყენილი ვარ ან საუბარი მჭირდება.

<u>ბავშვი 4-დან 7 წლამდე</u>

ასაკობრივი ამოცანები

ბავშვი სწავლობს ინიციატივის გამოჩენას და საქმიანი ხდება – თოჯინას კვებავს, ხეებზე დაძვრება, კუბიკებით სახლებს აშენებს და ა.შ. ხშირად მისთვის ძნელი ხდება ფანტაზიის სინამდვილისგან განსხვავება. ბავშვი მონდომებულია, თავად გააკეთოს ის, რასაც უფროსები აკეთებენ, სურს სხვებს დაეხმაროს და აჩვენოს, რომ „დიდების“ საქმეების დაძლევაც შეუძლია.

ბავშვი სამყაროს სიმბოლოებით აღიქვამს და უსასრულო კითხვებს სვამს. თუ ბავშვის კითხვები უპასუხოდ რჩება, თუ მას უშლიან ინიციატივის აღებას ან უარს ეუბნებიან მისგან შეთავაზებულ დახმარებაზე, შეიძლება თავი დამნაშავედ, უღირს და უმნიშვნელო არსებად იგრძნოს.

რის გაკეთება შეუძლიათ მშობლებსა და მომვლელებს?

– უპირობოდ უყვარდეთ ბავშვი;

– სიტყვებით გამოხატონ სიყვარული, ხელში აიყვანონ, მიიხუტონ, ალერსიანად მიმართონ;

– ასწავლონ ბავშვს დასამშვიდებლად ღრმად ჩასუნთქვა ან ათამდე დათვლა;

– პრობლემურ სიტუაციებში საკუთარი სიცოცხლისუნარიანი ქცევის დემონსტრირებით განუვითარონ გამბედაობა, ოპტიმიზმი და თვითდაჯერებულობა;

– გააძლიერონ წესები და გამოიყენონ დისციპლინირების ფორმები, რითაც დაადგენენ ქცევის ლიმიტებს და დასჯის ფორმებს, ოღონდ ბავშვის პირადი ღირსების შეურაცხყოფის გარეშე;

– შეაქონ ბავშვი კონსტრუქტორის აწყობის ან წიგნის წაკითხვისთვის, სათამაშოების დალაგებისთვის ან თავისი გრძნობების ზედმეტი მღელვარების გარეშე გამოხატვის გამო. გაამხნევონ ბავშვი, იმოქმედოს უფროსის მინიმალური დახმარებით;

– დაეხმარონ ბავშვს, რომ უკეთ შეძლოს საკუთარი და სხვისი გრძნობების გაგება;

– დაეხმარონ საკუთარი და სხვისი ხასიათის გარკვევაში – რამდენად მორცხვი ან თამამი, ფრთხილი ან რისკიანია;

– მოამზადონ უსიამოვნო ცხოვრებისეული მოვლენებისთვის საუბრებით, წიგნების კითხვით;

– წაახალისონ ბავშვი, გამოხატოს ემპათია და ზრუნვა, ასიამოვნოს სხვებს;

– წაახალისონ ბავშვი, გამოიყენოს ურთიერთობისა და პრობლემის გადაჭრის უნარები იმისთვის, რომ მოაგვაროს პიროვნებათაშორისი პრობლემები ან შეძლოს დახმარების მოძებნა;

– ერთად გააანალიზონ დღის მოვლენები და შთაბეჭდილებები;

– დაეხმარონ ბავშვს, დაიწყოს საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება და ქცევის შედეგების გააზრება;

– ერთმანეთთან შეათავსონ დახმარების უზრუნველყოფა და დამოუკიდებლობის წახალისება;

– შესთავაზონ წესებისა და დასჯის ფორმების ახსნა და განსჯა;

– მშვიდად მიიღონ ბავშვის შეცდომები და წარუმატებლობები;

– დაამშვიდონ და გაამხნევონ ბავშვი სტრესულ სიტუაციებში;

– ასწავლონ რთულ სიტუაციებში შესაბამისი სიცოცხლისუნარიანი ქცევის შერჩევა: ძალიან რთულ ვითარებაში დახმარება ეძებოს, გრძნობები მეგობარს გაუზიაროს.

<u>სიცოცხლისუნარიანობის განვითარების მაგალითები</u>

სიტუაცია – ოთხი წლის გოგონა უფროს ძმასთან ერთად „მაღაზიობანას“ თამაშობს. მათ საკვების და წვენის გაყიდვა უნდათ. დაალაგეს ყუთებზე საჭმელი და წვენისთვის ბოთლების ძებნა დაიწყეს. მამამ დაინახა, რომ ბავშვები ოჯახისათვის საჭირო საკვებითა და წვენით აპირებდნენ თამაშს.

მართებული პასუხები:

„მშობელი ცდილობს ბავშვებს აუხსნას, რომ საკვები ოჯახს სჭირდება. ის ბავშვებს სთავაზობს, საკვების გარეშე ითამაშონ. ბავშვები უხალისოდ, მაგრამ მაინც ასრულებენ მშობლის თხოვნას, თუმცა აკრძალულის გაკეთების სურვილი ისევ რჩებათ“.

„მამამ ბავშვებს სთხოვა, წარმოდგენილი საკვებით ეთამაშათ. ბავშვებმა თავიანთი ფანტაზია აამუშავეს, წვენის მაგივრად წყალი აიღეს, და საკვების ნაცვლად – სათამაშოები. მათ მცირე დისკომფორტი იგრძნეს, მაგრამ შემდგომში ისინი ფანტაზიის დახმარებით სიტუაციასთან მორგებას მოახერხებენ“.

არამართებული პასუხები:

„მშობელმა ბავშვებს საჭმელი გამოართვა და კანფეტები მისცა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ზედმეტი მღელვარება არ უნდოდა. ბავშვებმა მშობელს სთხოვეს, რომ საჭმლით ეთამაშათ, შემდეგ კი ისევ უკან დაბრუნებას შეჰპირდნენ. მშობელი დათანხმდა. ბავშვებმა მშობლისგან მხოლოდ გულგრილობა იგრძნეს.“

„მშობელმა საჭმელი გამოართვა და ბავშვებს უხეშად მოეპყრო. ბავშვები ატირდნენ. ისინი გულნატკენი დარჩნენ. ალბათ სხვა დროს წინასწარ ითხოვენ ნებართვას“.

სიტუაცია – ბიჭუნა არის 6 წლის. ის დაშავდა, როცა სამი წლის იყო და მას შემდეგ ფეხზე ველარ დგება. მკლავებსა და ხელებს კი ნორმალურად ამოძრავებს და იყენებს. ის პატარა ჯოხებით ღობეს აშენებს მუყაოს ყუთის (მისი წარმოდგენით სახლის) ირგვლივ. მას გაუჭირდა ჯოხების აკრეფა და უმოძრაო ფეხებით ღობის ნაწილი წააქცია. ისე ძლიერ განაწყენდა, რომ ოთახში პატარა ჯოხების სროლა დაიწყო და მწარედ ატირდა.

მართებული პასუხი:

„მშობელი ბავშვს ამშვიდებს და მშენებლობისათვის მოსახერხებელი ადგილის პოვნაში ეხმარება. მშობელი სიმპათიას და თანაგრძნობას გამოხატავს. ბავშვი მშვიდდება და მშობელთან ერთად თამაშს იწყებს. ის ცოტათი სევდიანია, მაგრამ შემდეგ მშობელთან ერთად მუშაობა მოეწონება, გახალისდება და თავად წარმართავს „მშენებლობას“ მინიმალური დახმარებით.“

არამართებული პასუხი: „მშობელი ბავშვს ტირილსა და მღელვარებას აცლის. წუხს, მაგრამ ფიქრობს, რომ ბავშვისთვის უკეთესია, დაუპირისპირდეს პრობლემას და თავად ისწავლოს მისი მოგვარება. ბავშვმა შეიძლება თავი უბედურად იგრძნოს ან გაბრაზდეს, მაგრამ თავად უნდა ისწავლოს, როგორ იცხოვროს.“

სიცოცხლისუნარიანობის განვითარების შედეგები:

<u>მე მყავს,/მაქვს:</u>

სანდო ურთიერთობები

მშობლები და სხვა მომვლელები მაგრძნობინებენ სიყვარულს ყოველგვარი პირობების გარეშე. მეფერებიან, მეხვევიან და მეუბნებიან, თუ როგორ ვუყვარვარ. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მაშინაც ვუყვარვარ, როცა არ ვუჯერებ და ვჭირვეულობ. ისინი გულს არ მატკენენ და და არც სხვას დაანებებენ, რამე დამიშავოს. როცა რაიმე მჭირდება, მშობლები ჩემთან არიან.

წესები სახლში

წესები ნათელია და მე ვიცი, რას მოელიან ჩემგან. როცა წესები იცვლება, მეუბნებიან. ასე რომ, დაბნევა არ მიხდება. სასიამოვნოა იცოდე, რა არის მოსალოდნელი. მე ვიცი, რომ სისუფთავე უნდა დავიცვა, სხვები არ შევაწუხო და არაფერი გავაფუჭო. როცა წესებს ვარღვევ, ვიცი, რა შედეგები მოყვება. ჩემი მშობლები მიხსნიან, თუ რა დავაშავე. ამასთან, ისინი მეც მისმენენ და ჩვეულებრივ, ჩვენ გამოსავლის მოძებნას ვახერხებთ.

როლური მოდელები

მე ვაკვირდები ჩემს მშობლებს და ვხედავ, როგორ ეპყრობიან ისინი სხვებს, როგორ იქცევიან კონფლიქტურ სიტუაციებში. ჩემთვის მნიშვნელოვანია მშობლების ქცევის მაგალითზე დავინახო, თუ რა არის კარგი და ცუდი, რა არის სიკეთე. ისინი მიხსნიან, სად და როდის არის გარკვეული ქცევის წესები მისაღები და სად და როდის – მიუღებელი.

ავტონომიურობის წახალისება

დედ-მამას სურს, ჩემს ქმედებებზე მეტი პასუხისმგებლობა ავიღო და მამხნევებენ ამისთვის. თუმცა, მე იმდენად ვინდომებ, რომ ზოგჯერ შეჩერება მჭირდება. ვსწავლობ ფიქრს, სანამ რამეს გავაკეთებ და ბევრ შეცდომას აღარ ვუშვებ. ასევე ვსწავლობ, როდის ვითხოვო დახმარება. მე მჭირდება გამხნევება და შეგულიანება, როცა თავდაჯერებული არ ვარ.

ჯანმრთელობის, განათლების, სოცუზრუნველყოფისა და დაცვის მომსახურება

მშობლებს მივყავარ ექიმთან, როცა ავად ვარ. მათ შეუძლიათ ჩემი ტარება საბავშვო ბაღში, სოციალური სამსახურების და კომპეტენტური პირებისგან დახმარების მიღება, როცა ჩვენ ეს გვჭირდება. მე თავს დაცულად ვგრძნობ, რადგან მშობლებმა მაჩვენეს ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვიცავენ.

<u>მე ვარ</u>

საყვარელი და მომხიბვლელი ხასიათის

მე ვუღიმი ადამიანებს, ვეთამაშები მათ, შემიძლია მათთვის ვიმღერო და ვიცეკვო. მე მომწონს ვასიამოვნო სხვებს, რადგან ისინი ბედნიერები ხდებიან და, შესაბამისად, მეც. სიყვარულს გამოვხატავ ჩახუტებით, ჩემს საყვარელ ადამიანებს ვეუბნები, რომ ისინი მიყვარს. არ ვიქცევი ზედმეტად აქტიურად ან იმპულსურად. ოღონდ არც ისე ჩუმი ვარ, რომ ვერავინ შემამჩნიოს. ჩემი ქცევა გაწონასწორებულია და შემიძლია თვითონ დავმშვიდდე ან გამოვცოცხლდე, როცა ეს საჭიროა.

მოსიყვარულე და ემპათიური

მე სულ უფრო და უფრო ვაცნობიერებ, თუ რას გრძნობენ სხვები და შემიძლია სახელიც კი დავარქვა მათ გრძნობებს. ვწუხვარ იმაზე, რაც მათ აწუხებთ და მსურს დავეხმარო. სიყვარულსა და ზრუნვას იმით გამოვხატავ, რასაც ვამბობ და ვაკეთებ. მე შემიძლია გავიზიარო და ვიგრძნო ის ტკივილი, რასაც სხვები განიცდიან.

საკუთარი თავით ამაყი

უმეტესად, მე მომწონს საკუთარი თავი და ვამაყობ იმით, რასაც ვაკეთებ და ვაღწევ. ბევრი რამის კეთება შემიძლია და ბევრ რამეს ვსწავლობ. დარწმუნებული ვარ, რომ მოზრდილებსა და ბავშვებს მოვწონვარ, რადგან მე კარგი ადამიანი ვარ, ისევე ვზრუნავ სხვებზე, როგორც საკუთარ თავზე. მე არავის მივცემ უფლებას, დამცინოს ან დამამციროს. მე საკუთარ თავს პატივს ვცემ და სხვებისგანაც პატივისცემას მოველი.

ავტონომიური და პასუხისმგებელი

მე სულ უფრო და უფრო ბევრ რამეს ვაკეთებ დამოუკიდებლად, მაგრამ ვიცი, როდის უნდა ვითხოვო ნებართვა. ვაცნობიერებ, რა მოყვება ჩემს ქმედებებს და ვიცი, რომ შედეგებზე პასუხისმგებლობა უნდა ავიღო. ყოველთვის არ შემიძლია ჩემი შეცდომების აღიარება, მაგრამ ვსწავლობ, რომ არ დავაბრალო ისინი სხვას.

იმედით, რწმენით და ნდობით სავსე

მე მჯერა, რომ შემიძლია უსაფრთხოდ ვიყო, რომ სხვებს ვეყვარები, რომ მომავალი ბევრის მომცემია. მჯერა, რომ კარგი ადამიანი ვარ და ბევრი სხვა კარგი ადამიანი არსებობს, ვისი ნდობაც შემიძლია. მე ვიმედოვნებ, რომ ის, რაც ცუდია, მომავალში გამოსწორდება.

მე შემიძლია

ურთიერთობა

მე შემიძლია მშობლებთან და სხვებთან ლაპარაკი, აზრებისა და გრძნობების გაზიარება. ჩვენ ერთად ვცდილობთ პრობლემების გადაჭრას და შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, რა გვჭირდება და რას უნდა მოველოდეთ ერთმანეთისგან.

პრობლემის მოგვარება

მე შემიძლია პრობლემის შეფასება და პრობლემის გადაჭრის გზის დაგეგმვა. შესაძლოა, დახმარება დამჭირდეს და ვიცი კიდეც, როგორ ვითხოვო ის. შემიძლია მეგობრებთან პრობლემის გადაჭრა, ჩვენ მომხდარს განვიხილავთ, შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ და ამგვარად, ორივე მხარე კმაყოფილი ვრჩებით.

საკუთარი გრძნობებისა და იმპულსების მართვა

მე უკვე უკეთ ვიცი, თუ რა მაღელვებს და რა მაბრაზებს, რა მაშინებს და რა მანაღვლიანებს. მე უფრო მეტს ვსწავლობ იმის შესახებ, თუ როგორ ვმართო საკუთარი რეაქციები და ვცადო თავის დამშვიდება. უთანხმოების მოსაგვარებლად პირისპირ ლაპარაკი მეხმარება.

შევაფასო საკუთარი და სხვისი ხასიათი

მე ვიცი, რომ ზოგჯერ ჯერ ვმოქმედებ და მერე ვფიქრობ; ვსწავლობ, როგორ დავარღვიო ეს რიგი. მე ვაკვირდები, რამდენად სწრაფად ან ფრთხილად დაიწყებენ მოქმედებას სხვები. ეს ჩემთვის სასარგებლო ინფორმაციაა გარშემომყოფთა შესაცნობად.

სანდო ურთიერთობების მოძებნა

მე შემიძლია ჩემი გრძნობები, აზრები და პრობლემები გავუზიარო მასწავლებელს, ან მეზობელს, ან ნათესავს, ან სხვა ბავშვს. შემიძლია მათ მივმართო, როცა დამშვიდება მჭირდება და ვიცი, ისინი დამეხმარებიან. თუმცა, უპირატესობას მაინც ჩემს მშობლებს ვანიჭებ.

გაგრძელება იქნება

საუბრები ლიტერატურაზე

ცხოველთა სახელების მეტაფორა ქართულ მწერლობაში

მეტაფორა ტროპის ძირითადი სახეა, მხატვრული გამოსახვის ისეთი სტილისტიკური ხერხი, რომლითაც ასახული შინაარსი გამოცანადაა წარმოდგენილი. მეტაფორა ერთი საგნის ან მოვლენის მეორეზე გადატანით დასაშვებს, წარმოსადგენს, პოეტურად შესაძლებელს, ამოსაცნობს ემყარება.

მეტაფორაში მწერალი თვითონ ქმნის ხელოვნურად საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა ნათესაობას. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის გამოყენებით მეტაფორაში საგნებსა და მოვლენებს მიწერილი აქვთ ისეთი თვისებები, რომელიც მათ არ გააჩნიათ, მაგრამ პოეტურად დასაშვებია, ესთეტიკურია, მხატვრულად გამოსახული აზრი ემოციურია. თვისებათა მოულოდნელი გადაადგილება მეტაფორის შინაარსს ძნელად ამოსაცნობს ხდის.

ქართული ლიტერატურის ისტორია მეტაფორული სახეებით ცოცხლობს, მრავალფეროვნდება, იქმნება, ყალიბდება და ახალი სახე ეძლევა. მწერლები და პოეტები, ზოგადად – შემოქმედნი, ცდილობდნენ, რომ თავიანთ შემოქმედებაში პერსონაჟის სულიერებისა და ემოციური ფონის შესაქმნელად სხვადასხვა პოეტური ხერხისთვის მიეგნოთ, გამომსახველობა უფრო ინტერესის სფეროში გარდასახული ყოფილიყო.

„ლიტერატურა სახეებით საუბარია“, – ამბობს ერთი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, შესაბამისად, ამ სახეების საუბრით მკითხველი ხედავს და განიცდის მოსალოდნელსა და მოულოდნელს, ასახსნელსა და გასააზრებელს, ამიტომაც გასაღები ლიტერატურისა, ძირითადად, მეტაფორის აზროვნებაშია მოქცეული.

ჰაგიოგრაფიული თხზულება, როგორიცაა „შუშანიკის წამება“ ბევრ ისტორიულ თუ საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო საკითხებს გვასწავლის, ავტორს პერსონაჟების დასახასიათებლად მხატვრული საშუალებები, ძირითადად, არ გამოუყენებია, მაგრამ ერთ შემთხვევაში მიზანმიმართულად იყენებს მეტაფორას – „მგელი“, როცა იგი ვარსქენ პიტიახშის დახასიათებას ჰკიდებს ხელს. ამ სიტყვაში იაკობ ხუცესი ბევრ საგულისხმო ინფორმაციას აქცევს და მკითხველს პერსონაჟის მიმართ განწყობასაც უნარჩუნებს.

„და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა ***მგელი*** იგი ტაძრად და რქუა მსახურთა მათ“.

სიტყვით **მგელი** – ავტორის პოზიცია პერსონაჟის მიმართ აბსოლუტურად ბუნებრივია; ვარსქენის ხასიათისა და შინაგანი სამყაროს წარმოჩენა ამ სიტყვით ნათელი გახდა. **მგელი** ის მეტაფორაა, რომელიც ხასიათსა და მორალურ ფასეულობებს ზუსტად განსაზღვრავს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მწერალი ცხოველის ამ სახეს იმიტომ იყენებს ალბათ, რომ მგლური ბუნების წარმოჩენა უნდა მისით. **მგელი**, მართალია, ძლიერი და საშიში ცხოველია, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო სიცარიელის გამარჯვება და ზეიმია. მგელში არ სადგურობს ზნეობა, შეწყალება, პატიება, რიგ შემთხვევაში კი პრინციპი და პრინციპულობაც.

ლიტერატურული სახეებით მსჯელობა ბიბლიური პარადიგმების კარებთანაც ჩერდება. ბიბლიას პატივისცემითა და მოკრძალებით ფურცლავს ყოველი ქრისტიანი და თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი გზის გაკვალვას იქიდან ცდილობს. სწორედ ჭეშმარიტი გზის გაკვალვასა და გავლაზეა საუბარი მეტაფორული სახეებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ-ერთ თავში, სადაც ავტორი აღგვიწერს გრიგოლის მოსაკლავად ხანძთაში მიმავალ მოისარ ანჩელ კაცს, რომელიც სამი გრივი ფეტვის და ხუთი **თხისთვის** სულს ეშმაკს მიჰყიდის და მისი ქვეშევრდომი გახდება. **თხა** – როგორც სხვადასხვა მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებებიდან ვიცით, ცბიერების, ეშმაკობის, ღალატისა და წინდაუხედაობის სიმბოლოა, მეტაფორაა.

აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაშიც ჰპოვა გამოძახილი **თხის** მეტაფორამ, კერძოდ, „დავითიანში“, რომელშიც ავტორი უფალს სთხოვს, რომ თხათიკანს აარიდოს და ბოროტებას ჩამოაცილოს. მაშასადამე, **თხა-თიკანი**, ზოგადად, თხა, ეშმაკის სიმბოლოდაც შეიძლება ჩავთვალოთ, ანგარების, სულის წაწყმედისა და გაურკვევლობის ერთგვარ მეტაფორადაც.

ცხოველთა მეტაფორებით საუბრის საუკეთესო საშუალებაა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც შოთა რუსთაველი ცხოველთა მშვენიერებისა და ძალის გამოსახატავად უამრავ პოეტურ ხერხსა და ტროპულ საშუალებას მიმართავს. ჯერ კიდევ ნაწარმოების პროლოგში იყენებს იგი სიტყვას **ლომი**, რომელიც, ბუნებრივია, ძლიერების, სიმამაცისა და შეუდრეკელობის სახე-სიმბოლოა:

„ვის შვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“ – აცხადებს რუსთაველი და **ლომის** მეტაფორით მკითხველი რწმუნდება, რომ საქმე აქვს ძლიერების ზეიმთან, ზებუნებრივ ძალასთან, რომელიც დაუმარცხებელი და დაუმონავია.

რუსთველისეული ცხოველების მეტაფორებიდან გამოსარჩევია **ვეფხვის** მეტაფორა, რომელიც ერთგვარად ცხოველის გარეგანი სილამაზის გამო სიყვარულთან, სინაზესთან და პატივისცემასთან ასოცირდება. ამიტომაც განასხვავა, ალბათ, შოთა რუსთაველმა **ლომისა** და **ვეფხვის** მეტაფორული სახეები. ტარიელი უყვება ავთანდილს ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავს და აღნიშნავს, რომ **ვეფხვი** ისეთი ლამაზი იყო, სატრფო გამახსენა და კოცნაც კი მოვინდომეო. ამაზე ძლიერი ემოცია, რომელსაც პერსონაჟი ცხოველის გარეგანი მშვენიერების აღწერით გვეუბნება, ალბათ, ცოტა თუ მოინახება მწერლობაში.

რუსთაველის პოემაში ცხოველთა სახელები მრავლად გვხვდება, მაგრამ მათი სათითაოდ ჩამოთვლა ამ შემთხვევაში, ლომისა და ვეფხვის მეტაფორების შემდეგ, არაბუნებრივად და ზედმეტად მიგვაჩნია. თუ გავიხსენებთ ავთანდილისა და როსტევან მეფის ნადირობის სურათს, გაგვახსენდება იქ ჩამოთვლილი ნადირნი, რომელთა ხოცვაც უწევს მეფესა და სპასპეტს:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა
ანგარიშმიუწვდომელი:
ირემი, თხა და კანჯარი,
ქურციკი მაღლად მხტომელი“.

რუსთველის პოემის მხატვრულ სახეებს იმეორებს გიორგი ლეონიძეც თავის ცნობილ ლექსებში, მეტაფორულად გადმოგვცემს ქალის სილამაზეს, კდემამოსილებასა და სინაზეს:

„შენი სახე რისთვის შემომეფეთა, ხატი იყავ ***ვეფხვი*** *დაქალებული“,* – ამ მშვენიერი მეტაფორით წარმოაჩინა ავტორმა ნესტანის უკვდავი სახე, რომელიც **ვეფხვის** მეტაფორაში მოაქცია. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა, ერთი მხრივ, თითქოს, მხატვრული ხერხებისგან გათავისუფლებულია, მაგრამ, მეორე მხრივ, მეტაფორა და ტროპული მეტყველების ზოგიერთი სახე აქტიურად იჩენს თავს (ასევე, ცხოველთა მეტაფორის აღმნიშვნელი სახელები).

თვალსაჩინოებისთვის, ავიღოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“, რომელშიც თემა და ლირიკული გმირის განცდები მკითხველის განცდებს ემთხვევა: რატომ მაინცდამაინც – **მერანი**? – პასუხის გაცემა მარტივი არ არის. მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ **მერანი** დაუმონაობის, მიზანსწრაფულობის, შეუდრეკელობის სიმბოლოა, მაშინ, ბუნებრივია, რატომაც აიღო ავტორმა სათაურად და ლექსის უმთავრეს ელემენტად ამ ცხოველის სახე.

ლექსში ნაჩვენები **მერანი** ძალიან დამჯდარი და ყურადმღებია ყოველგვარი განსაცდელისა, იგი ლირიკულ გმირს, თითქოს, „გულის პასუხს“ ეუბნება და თანაუგრძნობს. ამიტომაც მიმართავს ლირიკული გმირი მერანს, რომ გასწიოს და გადაიაროს ის მანძილი, რომელსაც „ბედის სამძღვარი“ ჰქვია.

ბარათაშვილის „მერანი“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ – ორივე მაგალითია ბედისწერის წინაშე ბრძოლისა და თავდადებისა, ორივეს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებს, მათი გულის ფეთქვა თანამედროვეობაშიც ისმის. ცხოველების ფლოქვის თქარუნი მარადისობის კანონიცაა, ახლად დაწერილი.

მერანის მეტაფორამ შეძლო ის, რომ გზა-კვალი გაუხსნა მომდევნო თაობებს უკეთესი მომავლის შეცნობაში.

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილში“ გამოყენებული მეტაფორა-სიმბოლო **ცხვარი**, რომელიც ბიბლიური სახისმეტყველებითაა ნასაზრდოები. პოემაში ავტორი ცდილობს, რომ მკითხველს ამ ცხოველის ხსენებით გაუფანტოს ეჭვი: განდეგილი ეშმაკის გამოცდას აბარებს თუ უფლისას, რა თქმა უნდა – უფლისას, რადგანაც ცხვარი ქრისტეს სიმბოლოდ შეიძლება ჩავთვალოთ. ცხვარი ხომ ერთ-ერთი ცხოველია, რომელიც უფლისთვის შესაწირად გამოიყენება (ქრისტეს სახელს სწირავენ). იგი მშვიდი და გაწონასწორებული არსებაა, უწყინარი, მის თვალებში იკითხება ყველანაირი კეთილშობილება.

მწყემსი ქალი, რომელსაც ცხვარი დაჰკარგვია, პოემის მიხედვით, ღვთის შვილია, **ცხვარი** მისი თავის რჩენის საშუალებაა, მაგრამ, როგორც გვახსოვს, დაკარგა, ბუნების „წარბშეკვრამ“ დააკარგვინა არსებობის წყარო.

ცხვრის მეტაფორა ქართული ლიტერატურისთვის უცხო არ არის. ამავე პერიოდის ლიტერატურისთვის მეტაფორული სახეებით საუბარი, როგორც აღვნიშნეთ, უცხო არ ყოფილა.

გავიხსენოთ ვაჟას პოემები, რომლებშიც ცხოველთა მეტაფორები მრავლად იყრის თავს. მაგალითად, „ალუდა ქეთელაურში“ პირველივე სტროფებიდან **ცხენის**, **ცხვარ-ძროხის** მეტაფორას ვხვდებით, უფრო საინტერესო ისაა, რომ ალუდამ იმიტომ გასწია მტრისაკენ, რომ მისი **ცხენი** მიჰყავდათ და ეს სახელოვანი გმირისთვის შეურაცხყოფა იყო (თუ მას ცხენს წაართმევდნენ, მოკლავდნენ).

პოემის დანარჩენ თავებშიც ვხედავთ ცხოველთა სახეს – მაგალითად, ხატობის დღესასწაულზე ალუდამ ქისტ მუცალს კურატი შესწირა; როგორც ვხედავთ, კურატი (მამრობითი სქესის საქონელი – პატარა ხარი) სულის მოსახსენებელ ცხოველად იყო მიჩნეული (ამ ტრადიციას დღესაც ინარჩუნებს საქართველოს ზოგიერთი კუთხე).

რაც შეეხება პოემა „სტუმარმასპინძელს“, მონადირეთა ტრადიციის საუკეთესო დეტალებზეა ყურადღება გამახვილებული. პირველი ცხოველი, რომელიც პოემაში გვხვდება, ჯიხვია. ზოგიერთნი მიიჩნევენ, რომ მონადირეთათვის ჯიხვის მოკვლა ცოდვა იყო, მიუტევებელი, თუმცა, ამ გარემოებას ვაჟას პერსონაჟები ყურს არ ათხოვებენ და თავიანთ საქმეს გულმოდგინედ აკეთებენ.

„ჯიხვი მოსთრევდა პირთავქვე“, – ამბობს პოეტი და ვხვდებით, რომ მონადირეს გულის წადილი აუსრულებია. ჯიხვიც სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს, პოეტს ეს ცხოველი ძალიან მოსწონს, მის სახეს სხვადასხვა მეტაფორითა და მხატვრული საშუალებით აღწერს:

„ან როცა გადაფრენილი ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა“. ისევ ვაჟას პოემებს დავუბრუნდეთ, ისევ ჯიხვის სახე-მეტაფორით, გავიხსენოთ პოემა „გველის მჭამელი“, რომელშიც მინდია საყვედურობს ცოლს – მზიას, რადგან ჯიხვზე ანადირებდა, ბავშვებს რომ საკვები ჰქონოდათ; მინდიასთვის კი ჯიხვის მოკვლა სულში ბზარის გაჩენისა და მეტამორფოზის წინაპირობა იყო.

ვაჟა, როგორც მთის არწივი, ლომი და, საერთოდ, მთის კაცი, ბუნების უბადლო მხატვარი, ცდილობს ენობრივ-გრამატიკული სარჩული დაუდოს თავის ნაწარმოებს და ტყის ბინადრებს თავიანთი გულისტკივილი ათქმევინოს. მწერლის სახელოსნოში, ნაწარმოებებში უამრავი ცხოველი იყრის თავს, რომლებიც ჰყვებიან, ამბობენ, განიცდიან და გვიამბობენ თავიანთ განსაცდელსა და ადამიანების შეუბრალებლობაზე.

შვლის ნუკრი, რომელიც საუცხოო მეტაფორაა სიბრალულისა და შემწყნარებლობისა, ცდილობს თავისი გულისტკივილი ჩვენ გაგვიზიაროს, გვიამბობს, რა შეუბრალებელია კაცი ცხოველის წინაშე, როგორ ცდილობს, ყველაფერი სათავისოდ გამოიყენოს. ამ „საჩივარს“ ეხება, ფაქტობრივად, მოთხრობა, ნუკრი მარტოდ დარჩება, დედას მოუკლავენ და ობლობის ტვირთი ზურგზე დააწვება. მკითხველი ყოველივე ამას გრძნობს, განიცდის, გული უჩუყდება;

„მგელი“ ვაჟა-ფშაველას საუკეთესო მოთხრობაა, რომელშიც ერთდროულადაა აღწერილი და გადმოცემული **ცხოველის**, **მგლის** სულიერი სამყარო, მისი ველური ბუნება და სიკვდილისწინა მდგომარეობა, **მგლის** სახეში იკითხება ცხოვრებისადმი უკმაყოფილება, ზიზღი, ღვთისადმი სამდურავი, ეს ყველაფერი ამ ცბიერი ცხოველის ასაკმა განაპირობა. **მგელი** დაბერდა, იგრძნო, რომ უკვე ყველასთვის ზედმეტი იყო და აღსარების თქმა დააპირა, თითქოს ახლა დაინახა და გაითავისა თავისი წარსული, აწმყო და მომავალი. წარსულზე ფიქრი მგლისთვის დღესდღეობით არაფრის მთქმელია, მას უარესი – მომავალზე ფიქრი აშინებს, თითქოს ხვდება და გრძნობს იმ უბედურების უფსკრულს, რომელიც მის წინ გადაშლილა, ამიტომაცაა თვალცრემლითა და შურ-ბოღმით სავსე.

მგლის სახეს უამრავი ნიღაბი მორგებია მისი სიცოცხლის მანძილზე, რანაირი ცოდვა არ ჩაუდენია, რანაირად არ უვლია და უოხრებია სოფელ-ქვეყანა, მაგრამ თურმე, მგელსაც კი ჰქონია გული, სული, სინდისის ქენჯნა, რომ სიკვდილის წინ ყოველივე ეს უფლისა თუ ქვეყნის სამსჯავროზე ეღიარებინა.

მოდით, ბიოლოგიის საკითხებში ნუ გადავიჭრებით და ნუ დავიწყებთ იმაზე მსჯელობას, გველი რეპტილიაა თუ ცხოველი. „გველის მჭამელში“ ამ უნატიფეს, უფაქიზეს და უღრმესი სულის ნაწარმოებში გველის მეტაფორა უაღრესად ყურადსაღები, თვალსაჩინო და თვალში საცემია. გველი აქ სიბრძნის სიმბოლოა (და არა მარტო აქ), გავიხსენოთ, როგორი გახდა სიკვდილის მძებნელი, სიცოცხლის მოსწრაფების მსურველი მინდია გველის ხორცის ჭამის შემდეგ; სიკვდილის ნაცვლად, მან ახალი ცხოვრება იპოვა, „ახალად ხორცი აიბა“ – სულ სხვაგვარად დაინახა ყველაფერი; კიდევ ვიმეორებთ, მას შემდეგ, რაც გველის ხორცი ჭამა, ანუ სიბრძნეს ეზიარა.

ასეთივე ეპიზოდია მოცემული კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში „ხოგაის მინდია“, რომელშიც მინდია გველის ხორცს შეჭამს და მისი ცხოვრება ერთიორად სხვაგვარი ხდება, უცნაურობებით სავსე, მისი გული ოჯახს, მეუღლეს, ახლობლობას ვერ გუობს.

მართალია, **გველეშაპი** მხოლოდ ზღაპართა და თქმულებათა ბინადარი ცხოველია, მაგრამ მას უდიდესი დატვირთვა აქვს არა მარტო ხალხურ შემოქმედებაში, არამედ კლასიკური მწერლობის მარგალიტებშიც.

ალავერდის ყელმოღერებულ ტაძარს, რომელიც მოთხრობაში საქართველოს სიმბოლოა, უგრძესი და უსაშინლესი გველეშაპი შემოეხვევა და დაუნდობლად მუსრავს ყოველივეს („ბაში-აჩუკი“); „ობოლ კვირიას“ სიზმარშიც გველეშაპი გამოეცხადება, ყვავილებით მორთულ მინდორზე რომ მოსრიალებს პირდაღებული და მუსრს ავლებს ყოველივეს („ბახტრიონი“), ორივეგან გველეშაპი ბოროტების უაღრესად მკაფიო მეტაფორაა.

სიბრძნე მაშინაა ძალიან საშიში, როცა იგი ბოროტების მთესველია, მაგრამ ვაჟას „ბახტრიონში“ ბოროტების სიმბოლო ყველასათვის თავზარდამცემი გველი, სიკეთის, კონკრეტულ შემთხვევაში, სამშობლოსათვის თავდადების წინაშე ქედს იხრის და კაცთა მოდგმის მტერი – ლუხუმის, ამ სასიქადულო ვაჟკაცის მკურნალ-პატრონად, გადამრჩენად გვევლინება.

ვაჟას წარმოდგენა ტრადიციულზე მეტია. მომაკვდავი ვაჟკაცის ხილვამ გველსაც კი ბუნება შეუცვალა (გავიხსენოთ, როგორ გაძლო დანიელ წინასწარმეტყველმა **ლომებთან**, ან ქართველმა უფლისწულმა დავითმა, ლაშა გიორგის ძემ, გველებთან ხაროში, ჭის მსგავსად ამოთხრილ მიწის საპატიმროში).

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ გველი ბიბლიური სიმბოლიკით გაგრძელდა. ელი ბედისწერამ დაკბინა, წამიერად დასახული ედემის გზა კაცობრიობის უძველესმა მტერმა ჩაკეტა. მოთხრობაში მარადისობას – სამშობლო, წარმავლობას კი უცხოობა განასახიერებს, მაცდური (იგ. გველი), რომლის გამოისობითაც ადამიანმა მარადიული სამყარო დატოვა, უსახო ბედისწერად გარდაქმნილა და იმავე ადამიანს უკან არ აბრუნებს.

თითქოს, ლომისა და ვეფხვის მეტაფორას XIX საუკუნეში უნდა მიეხურა კარბი, მაგრამ იგი თანამედროვე ქართველი პოეტების, ბესიკ ხარანაულის ლექსში „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“ ჩანს და არაკონკრეტული სახეებით ქარად ქცეულ სამშობლოში **ვეფხვის** მეტაფორასაც წარმოაჩენს:

→ 8

საუბრები ლიტერატურაზე

ცხოველთა სახელების მეტაფორა ქართულ მწერლობაში

მეშვიდე გვერდიდან

*„სად არიან **ვეფხვები**. ლერწმიანში არიან“,* – ამბობს პოეტი, ვეფხვების მეტაფორაში იგი ქართველ ვაჟკაცებს გულისხმობს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ტკივილის, აფხაზეთის ომის მსხვერპლნი გახდნენ. ლექსის სათქმელი პირველსავე სტროფში სრულად ყალიბდება. მომდევნო სტროფები სათქმელს იმავე ფარგლებში განავრცობს. ლირიკული გმირი შვილებს დაეძებს წარმოსახვით სამყაროში.

აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორია სახე-სიმბოლოებით საუბარი და მსჯელობაა, გარემოებებმა თუ ცხოვრების ამა თუ იმ საკითხმა მოიტანა ფორმის ასეთნაირად დამკვიდრება ლიტერატურაში.

ცხოველთა ენით – მეტაფორული თქმით გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი მეიგავის, სულხან-საბა ორბელიანის არაკთა წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, 50-მდე არაკში, ძირითადად, ცხოველები და ფრინველები მონაწილეობენ, მაგრამ მკითხველის თვალსა და გონებაში ეს სათქმელი გაცოცხლებული რეალობა და ცხოვრებისეული ფაქტებია.

ცხოველები მათი ხასიათისა და ზნე-ჩვეულებების მიხედვით ჰყავს ავტორს შერჩეული. მელა, დათვი, ტურა, მგელი, ძაღლი, ლომი, კატა და უამრავი სხვა ცხოველის საშუალებით, ავტორი ადამიანთა დადებით და მანკიერ მხარეებს წარმოაჩენს, გამოაქვს უარყოფითი თვისებები სააშკარაოზე და გმობს მას. მკითხველს ქარაგმულად, იგავურად ეუბნება, მოძღვრავს, რომ ისეთ რამეში არ უნდა ჩადგა ფეხი, თავიც საწყევლი გაგიხდეს და მოდგმაცა („მოძღვარი მელი“); მელა – სულხანის იგავების ერთ-ერთი აქტიურად გამოყენებული ცხოველის მეტაფორაა. იგი ცბიერების, ეშმაკობის, ორგულობის სიმბოლოა. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის თავის დაგებულ ხაფანგზე ეგება.

ძაღლი – ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი – იგავ-არაკებში, ერთგულების, ერთსულოვნებისა და პატიოსნების სიმბოლოა. „სიბრძნე სიცრუისას“ ფაბულაში, როცა სედრაქმა დალოცა ჯუმბერი, პირველი, რაც უსურვა, ძაღლის ერთგულება იყო. *„მიეცეს ამას ერთგულება ძაღლისა“*. ამდენად, ვაზირის სიტყვები, რომ უფლისწულს ძაღლის ერთგულება უნდა დაჰბედებოდა, ყურადსაღები და აღსანიშნავია.

ძაღლის მეტაფორულ სახეს ვხვდებით არაერთ ლიტერატურულ ტექსტში, ზეპირსიტყვიერებაშიც, კერძოდ კი – „თქმულება ამირანზე“, რომელშიც ჩანს, რომ კავკასიონის მწვერვალზე მიჯაჭვული ამირანის მშველელად და იმედის მომცემად განგებამ ძაღლი – ყურშა მოუვლინა, რომელიც დღენიადაგ ლოკავდა იმ ჯაჭვს, რომლითაც გმირი იყო მიჯაჭვული რკინის ბოძზე, უმსუბუქებდა ტანჯვას და უნერგავდა სასოებას, რომ გათავისუფლდებოდა და: *„სიხარულად შეეცვლებოდა დიდი ხნის გასაჭირი“*.

ძაღლის მეტაფორული სახეა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებსა თუ რომანებში – „ჯაყოს ხიზნები“ და „ლამბალო და ყაშა“.

თეიმარუზ ხევისთავს, ცხოვრებისგან ზურგშექცეულს, ბედისწერის მარწუხებში მოქცეულ ადამიანს, „ძაღლის ლეში“ ჰქონდა ყელზე ჩამოკიდებული, რომელსაც დაათრევდა და ვერასდროს იცილებდა ქედიდან; კონკრეტული შემთხვევა – „ძაღლის ლეში“ – თეიმურაზის უბედური ცხოვრებაა, უიმედობაა, რწმენის დაკარგვა და სასოწარკვეთილებაში გადავარდნაა.

რაც შეეხება „ლამბალო და ყაშაში“ გაცოცხლებული ძაღლის მეტაფორას, აქაც სიბრალულისა და მიუსაფრობის სიმბოლოდ შეიძლება იგი ჩაითვალოს; ადამიანური ერთგულება დაკარგული აქვს საზოგადოებას, ერთმანეთს შუღლობენ, მტრობენ, ძვირს ამბობენ და ყველაფერი ეს სისხლისღვრით მთავრდება. ამ ეპიზოდს მოსდევს უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყეფა, ყმუილი, გულის წამღები ხრიალი – ამ შემთხვევაში, თვითონ ადამიანები იჩენენ ულმობლობას ამ სათაყვანო და ერთგული არსებების მიმართ.

მეტაფორა, ჩვენი აზრით, პოეტების სიტყვის სამკაულია, სამარჯვისია. სწორედ ამიტომ გალაკტიონთან ჩვეული ვირტუოზობითაა წარმოდგენილი ტროპის ეს სახე. მაგალითისთვის „ლურჯა ცხენების“ დასახელებაც საკმარისია.

ლურჯა ცხენი ქართული ფოლკლორის სახეა: გალაკტიონის ლექსში ლურჯს სხვა მისტიკური ჟღერადობა და შინაარსი აქვს, პოეტი, თითქოს, ზეცისა და რიჟრაჟის ფერადიდან სიშავეში გარდამავალ ფერს არჩევს. ლურჯი ამ ცხენების სიზმარეულობისა და წარმოსახვითობის არსებითი ნაწილია. ცხენების ქროლვა ლექსის განუმეორებელ რიტმს ერთვის, მხატვრული სახე და ლექსის რიტმი ისე ურთიერთდაკავშირებული ელემენტია, რომ გამორჩევაც კი ჭირს, რომელია პირველადი, რომელმა რომელი განსაზღვრა: სახემ რიტმი თუ – პირიქით; ორივე აჩქარებულ, ენერგიულ მოძრაობას მოიცავს და ლექსის იდეას შესაბამისად გამოხატავს. ლურჯა ცხენები ფართო მნიშვნელობის მეტაფორაა, რომელიც შედარების, ჰიპერბოლის, ეპითეტის მნიშვნელობას მოიცავს. ლურჯა ცხენები შინაგანი ბორგვის ირეალური, თავისთავადი სახეა. ლურჯა ცხენები სიმბოლური და პირობითი ორი სამყაროს არსებებია.

არისტოტელე ამბობდა: *„თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა“*, – სწორედ გამოცანის ხარისხი ქმნის მეტაფორის შინაარსის გაგების სირთულეს.

კახა გაგუჩია
ლიტერატურათმცოდნე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის 53-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი, კათედრის გამგე

ინფორმაცია

კვირეულით ასახული სკოლის ცხოვრება

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლაში სასკოლო კვირეული გაიმართა – ჩატარდა საინტერესო ღია გაკვეთილები, მხატვრული, შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებები; მოეწყო ნორჩ მხატვართა და კალიგრაფტთა ნამუშევრების, სახელობო შრომის ნიმუშთა გამოფენები; გაკეთდა სკოლის ცხოვრების ამსახველი ფოტოსტენდები და სხვ.

ქართული ენის დაცვის დღეს მიეძღვნა მხატვრული ღონისძიება „ო, ენავ ჩემო!“ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით (ხელმძღვანელები – დაწყებითი კლასების კათედრის მასწავლებლები). V-XII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა მხატვრული კითხვის კონკურსი (პედაგოგები: **ნინო ბარბაქაძე, ნაზი ჭიპაშვილი, რუსუდან თაბაგარი**).

შინაარსიანი და ხალისიანი გაკვეთილები ჩატარდა გერმანულ ენაში (V კლასი, პედაგოგი – **ხათუნა მანჯავიძე**), ქართულ ენაში (I კლასი, პედაგოგი – **ირინა გიორგაძე**), ინგლისურ ენაში (X კლასი, პედაგოგი – **ნათია კაციტაძე**), მათემატიკაში (VI კლასი, პედაგოგი – **ნანა სახვაძე**), ბუნებაში (II კლასი, პედაგოგი – **ლია სანიკიძე**), ბიოლოგიაში (VIII კლასი, პედაგოგი – **ლია რამინიშვილი**). კვირეულის ფარგლებში

გაიმართა სასკოლო კონფერენციები ქიმიასა (X-XI კლასები, ხელმძღვანელი – **თამარ სულიაური**) და მათემატიკაში (V კლასი, ხელმძღვანელი – **ლიანა სარალიძე**); VI- VII კლასის მოსწავლეთა შორის მოეწყო სპორტული შეჯიბრება – „მხიარული სტარტები“. მინი-ფეხბურთში ერთმანეთს შეეჯიბრნენ X-XI კლასის ნორჩი ფეხბურთელები. გაიმარჯვეს მეცხრეკლასელებმა (ხელმძღვანელი – **გოჩა ჭყოიძე**).

დაწყებით კლასებში გაიმართა შთამბეჭდავი გამოფენები: „სამყარო ჩვენი თვალით და ფუნჯით“ (I- VI კლასი, ხელმძღვანელი – **მარიკა ბაკაშვილი**); „ვწეროთ სუფთად და ლამაზად“, „სიძველისადმი გრძნობა, პატივი“ (XI-XII კლასი, სახელობო შრომის მასწავლებელი – **მარინა ვეფხვაძე**); საჩვენებელი ღია გაკვეთილი ჩატარდა კულინარიაში (VII კლასი, პედაგოგი – **მაკა ბუაჩიძე**).

კვირეულის დასკვნით ეტაპზე მოეწყო მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია „ვუმღერი სამშობლოს“, რომელშიც ყველა კლასის მოსწავლე მონაწილეობდა (ხელმძღვანელები: რუსუდან თაბაგარი, ნაზი ჭიპაშვილი, ნინო ბარბაქაძე). მუსიკალურ-მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლის საუკეთესო მომღერლები და დეკლამატორები.

სასკოლო კვირეულს აქტიურად გამოეხმაურნენ მოსწავლეთა მშობლები, რესურსცენტრისა და რაიონის ხელმძღვანელობა, საზოგადოების წარმომადგენლები.

მსგავსი ღონისძიებები ყოველ წელს ეწყობა და სკოლაში მიმდინარე საქმიანობას ერთგვარად აჯამებს, სამომავლოდ ისახება გზები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მუშაობის კიდევ უფრო გასამრავალფეროვნებლად.

წლის ბოლომდე სკოლას დაგეგმილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დღის ჩატარება, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის საზეიმოდ აღნიშვნა. ასევე, იგეგმება, სკოლის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების მონაწილეობით პოეტ მორის ფოცხიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო და სხვ. ვცდილობთ, აქტიურად ჩავერთოთ განათლების რეფორმის მიმდინარეობაში, შედეგიც სახეზეა – რესპუბლიკურ კონკურსებსა თუ კონფერენციებში გამარჯვებები, სასკოლო ოლიმპიადებში მიღწევები და ა.შ. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელმა **რეზო დეკანოსიძემ**, უკვე მეორედ (გასულ წელსაც ამავე საგანში), რესპუბლიკურ საგნობრივ ოლიმპიადაზე ისტორიაში მე-3 შედეგი აჩვენა. ასევე, დასკვნით ეტაპზე მონაწილეობდა მეცხრეკლასელი **გიორგი აბაშიძეც**, რომელიც ოცეულში მოხვდა.

რა თქმა უნდა, გვახარებს ჩვენი აღსაზრდელების წარმატებები და ვიბრძვით უკეთესი შედეგებისათვის.

ვალერი გოგნაძე
ხარაგაულის №2 საჯარო
სკოლის დირექტორი

მოსწავლე ჟურნალისტი

აგვისტოს მოვლენები – რუსული აგრესია

თამარ ზაქარაძე,
ბათუმი, №6 საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე

ქართული ენისა და ლიტერატურის
პედაგოგი – **ციალა მუმლაძე**

– ნუ ნერვიულობ, დედა, დავბრუნდები.

გულში მიკრავდა და თან ტიროდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს ვეღარასდროს ვნახავდი.

– იქ წასული ცოტა თუ დაბრუნებულა, შვილო. იბრძოლე, თუნდაც სიკვდილის ფასად, დედა და სამშობლო მუდამ გახსოვდეს, – დამლოცა და გამაცილა.

სანამ თანამებრძოლებს შევუერთდებოდი, რამდენიმე წუთი დამრჩენოდა და ეს ძვირფასი წუთები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის უნდა დამეთმო.

– გამარჯობა, პატარავ... – მივესალმე და გადავეხვიე.

ატირდა...

– კარგი რა, დავბრუნდები, ნუ ტირი...

– არა, შენ არ დაბრუნდები – ჯიუტად იმეორებდა.

– კარგი რა, ასე უნდა გამაცილო. ყოჩაღ, „კარგი“ გოგო ხარ!.. – დავემშვიდობე ერთის ამბით.

– მოიცადე! – მომაძახა შორიდან...

წამები საუკუნედ მეჩვენა...

– ეს შენ გქონდეს, ისე, უბრალოდ! – თეთრი მანდილი გამომიწოდა, გამოვართვი და საგანგებოდ ჯიბეში შევინახე.

რეალურ ცხოვრებას მოვწყდი და ირეალურში გადავინაცვლე...

ჩემ წინ ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლებოდა. მეგონა, ერთად შეკრული ძმები უფრო ძლიერნი ვიქნებოდით, თუმცა ეს სიძლიერე საკმარისი არ აღმოჩნდა... თანამებრძოლებს ისე ვკარგავდით, თითქოს უსარგებლო ნივთები ყოფილიყო. გამალებული ვცდილობდი საკუთარი ადგილი მეპოვა, რათა მტერი ადვილად მომეგერიებინა. ტყვიის განაკაწრებს არ ვუშინდებოდი, მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი – გამარჯვება და შინ დაბრუნება... უცებ მარცხენა მუხლში აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, არ შევუშინდი, გზა განვაგრძე, არ ვეპუებოდი, ვცდილობდი თანამებრძოლებს არ ჩამოვრჩენოდი. კიდევ ერთი ტანჯვით გადადგმული ნაბიჯი და... მკერდში აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, ძირს დავეცი, აღარაფრის ძალა აღარ შემწევდა, ღრმად ვსუნთქავდი.

– ადექი ძმაო, რას აკეთებ? – მხრებში მწვდა თანამებრძოლი. ვცადე, მაგრამ ამაოდ. ვგრძნობდი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ვითვლიდი.

– ადექი ბიჭო, განა სიკვდილისთვის წამოხვედი! ადექი ძმაო! ჩვენ გავიმარჯვებთ და მთელი ერი ერთად ვიზეიმებთ ამ გამარჯვებას.

– კარგი იუმორის გრძნობა გაქვს, ჩემი დრო წავიდა – ლაპარაკი მიჭირდა და პირში სისხლი დამიგუბდა, – *ჩემს სიკვდილს ნუ ელოდები, წადი იბრძოლე. ერთი თხოვნა მაქვს: ეს მანდილი მას გადაეცი, უამბე, თუ როგორ ვიბრძოდი და როგორ მწყუროდა სიცოცხლე...*

* * *

ჯიბიდან სისხლიანი, ტყვიით დაგლეჯილი მანდილი ამოიღო და გამომიწოდა.

– არა, ამას შენი ხელით დაუბრუნებ, – პასუხად კი მისი მზერა იმის მომასწავებელი იყო, რომ ის ჩემს სიტყვებს ვეღარ გაამართლებდა, მზერა გაეყინა.

სისხლში მოთხვრილი მანდილი საგანგებოდ შევინახე, ბრძოლა გავაგრძელე... კიდევ ბევრი თანამებრძოლი დავკარგეთ. ომი დასრულდა, ეს – ჩვენთვის, მაგრამ იმ ადამიანებისთვის რომლებიც ოკუპირებულ ზონაში ცხოვრობენ, ომი გრძელდება. ომს არაფერი მოაქვს სასიკეთო არც ერთი მხარისთვის, ის ტოვებს ძაძებსა და გმირთა მოედნებს.

...ჯარიკაცებს თავისიანები ელოდნენ, მოშორებით შევნიშნე ჩემი მეგობრის მეგობარი გოგონა, მივუახლოვდი, გამალებით ეძებდა თვალებით მის გმირს, მაგრამ...

– გამარჯობა!... – მივესალმე ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, ისიც მომესალმა, ჩემი თვალები გამომეტყველებით მიხვდა, თუ რისი თქმა მინდოდა მისთვის.

– ის გმირულად იბრძოდა და გმირულად დაიღუპა – მის თვალებში ჩახედვა და ამ სიტყვების წარმოთქმა უფრო რთული იყო ჩემთვის, ვიდრე ომი – *ვნუხვარ!*

მანდილი გავუწოდე, გამომართვა.

– ის მუდამ იცოცხლებს ჩვენში.

– მაგრამ მკვდარი – დაამატა, – *მწარე რეალობა.*

* * *

მანდილი გამოვართვი, სისხლში ამოსვრილი, დახეული, არ მჯეროდა, რეალობის აღქმა მიჭირდა. თვალზე მომდგარ ცრემლს არ მივეცი უფლება გადმოვარდნილიყო. საერთოდ ომში დაღუპულ ჯარისკაცს ქალის ქვითინი შვენის. თუმცა, არ ვიტირებ, ის ხომ დამპირდა დავბრუნდებიო, გაბოროტებული ვიყავი მთელ სამყაროზე, ნელ-ნელა მივაბიჯებდი ქვიშაზე.

საღამო იყო, მზე ჩადიოდა... სანაპიროზე ჩამოვჯექი – ვინ იცის, რამდენი გლოვობს ახლა ჩემსავით ამ წუთს – გავიფიქრე, ქალურობამ გაიტანა და ავტირდი, სისხლიანი მანდილით ცრემლები შევიმშრალე და იქვე დავტოვე.

ნაპირს მოვშორდი, მიზანდასახულად არსად მივდიოდი, გზა საითაც მიჩვენებდა... უსასრულოდ....

P.S. როცა წერა დავასრულე შორიდან რუსული მუსიკის სასიამოვნო მელოდია მომესმა, გავიფიქრე, ნუთუ ერს, რომელიც ასეთ სასიამოვნო მუსიკას ქმნის, შეუძლია ასეთი სისასტიკე და ვანდალიზმი ჩაიდინოს? თუმცა, არ არსებობს მედალი, რომელსაც მეორე მხარე არ ჰქონდეს...

ინფორმაცია

„ეს ჩემი საქართველოა“

თბილისის 144-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) გამოირჩევა ბავშვთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების და ეკოლოგიური განათლების მიზნით ჩატარებული ეკოლოგიური ზეიმებითა და აქციებით. ეკოლოგიური კალენდრის მიხედვით აღინიშნა 2 თებერვალი, 14 მარტი, 22 მარტი, 1 აპრილი, 22 აპრილი და სხვ.

23 აპრილს ჩატარდა ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკოგანათლებისა და ინტერპრეტაციის სპეციალისტი, დოქტორი **ნატო სულთანიშვილი**, გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი **ნინო ქიტუაშვილი**, თბილისის ზოოლოგიური პარკის საგანმანათლებლო ცენტრის „მეტაზოას“ პედაგოგი, პროფესორი **ირმა ბოჭორიშვილი**.

დედამიწაზე არსებული მილიონობით სახეობებიდან მხოლოდ ერთადერთს – ადამიანს შეუძლია მკვეთრად შეცვალოს ყველა ტიპის ეკოსისტემის ბედი. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად თანდათანობით მცირდება ბუნებრივი ეკოსისტემების მიერ დაკავებული სივრცე. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ხშირად ადამიანები ბუნების ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ თავს და მის გამოყენებას საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ცდილობენ.

ცოცხალი ბუნების განადგურება ხშირად ადამიანის გულგრილობისა და დაუდევრობის შედეგია, **მარი ნიკოლაშვილმა** ამ საკითხს თავისუფალი თემა მიუძღვნა.

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფემ გამოსცა ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად, ხუთასი წლის შემდეგ კი, ვახტანგ VI-ს „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს ყორუღის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს – იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ე. წ. „ხატის ტყეები“, რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალად ითვლებოდა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მოსწავლეებმა: **მარი ღლონტმა, მარიამ ნიკოლაშვილმა, ანი** და **ჯიმი მელქაძეებმა, თამთა კარგარეთელმა, სალომე ლაღიძემ, ირაკლი გოგბერაშვილმა, ნინო კაბულაშვილმა, ნინო გულდამაშვილმა, თეონა ვარდიაშვილმა, ნიკა ჭიკაძემ, ნონა ხურციამ, მარი შპორტმა, ნათია ჩიფჩიურმა, ნონა გველესიანმა, ანი შულლიაშვილმა** წარმოადგინეს ალგეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, ლიახვის, მტირალას, რაჭა-ლეჩხუმის, საგურამოს, სათაფლიის, სვანეთის, ქობულეთის, ქცია-ტაბანწყრის დაცული ტერიტორიები სლაიდ-შოუსთან ერთად. ისინი წყვილებში მუშაობდნენ, ძალიან დაინტერესდნენ და ღრმად შეისწავლეს აღნიშნული ტერიტორიები დამახასიათებელი ბიომრავალფეროვნებით. 2010 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბიომრავალფეროვნების წლად არის გამოცხადებული. ამასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზატორობით, ფრინველებზე და წითელ ნუსხაში შესულ სახეობებზე დაკვირვების კამპანიებში ჩვენი სკოლის მოსწავლეები აუცილებლად მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

VII^ა კლასის მოსწავლე **გიორგი ევსიამ**, ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, კედლის გაზეთი გააფორმა, ხოლო VI^ა კლასმა (მასწავლებლები: **შორენა ზარდიაშვილი, სოფო ქუმსიაშვილი**) სტენდი მოამზადა.

ყველაზე პატარა მონაწილემ, მესამეკლასელმა **მარიამ სიჭინავამ**, რომელიც თბილისის ზოოპარკთან არსებულ ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრ „მეტაზოას“ წევრია (მასწავლებელი – პროფესორი **ირმა ბოჭორიშვილი**), თავისი შთაბეჭდილება გააცნო ღონისძიების მონაწილეებს თემით – „ერთი დღე ვაშლოვანის ნაკრძალში“. ბავშვები ჯერ კომპიუტერით გაეცვნენ ამ ნაკრძალს, შემდეგ კი ექსკურსია მოაწყვეს.

„დადგა ნანატრი დღეც, გავემგავრეთ არწივის ხეობისკენ. ჩავედით დედოფლისწყაროში, საიდანაც გიდთან ერთად გავემართეთ წმინდა ელიას მთისაკენ, რომელსაც წამოწოლილი ქალის ფორმა აქვს და ძალიან ლამაზი სანახავია. ყველაზე მეტად გამაოცა ამ მთაზე ჩიტის ბუდესავით მიკრულმა ელიას ტაძარმა, რომელიც ქიზიყელების ერთ-ერთი მთავარი სალოცავია, ამ მთიდან იშლება ულამაზესი შირაქის ველი და ბუნებრივი, მარილიანი ტბა „ქოჩები“. ხორნაბუჯის ციხე ორი კილომეტრის დაშორებით არის. არწივის ხეობა ულამაზესია, ოდესღაც ოკეანის ფსკერზე ყოფილა. მოვისმინეთ ფრინველთა საოცარი გალობა, ბინოკლით მოვახდინეთ დაკვირვება ორბებზე, შავ ყარყატებზე, არწივებზე; ვნახეთ უიშვიათესი საკმლის ხეები, რომლებიც ვაშლის ხეებს წააგავს, ნაკრძალის გეოგრაფიული სახელიც აქედან უნდა მოდიოდეს.

მე კი წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ქიზიყი ასეთი ლამაზი იყო. სახლში დაღლილები და შთაბეჭდილებებით სავსენი დავბრუნდით.

ესტუმრეთ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და დატკბით მისი ულამაზესი და უმდიდრესი ფლორით და ფაუნით. ეს ჩემი საქართველოა.“ – ამ სიტყვებით დაასრულა მარიამმა ექსკურსიით მიღებული შთაბეჭდილებები.

გამომსვლელების შემდეგ ანსაბლ „დო-რე-მის“ (ხელმძღვანელი – **თეა ედიბერიძე**) სოლისტებმა: **ელენე გოგოძემ, მარი ფხოველიშვილმა, ანა ნამიჭეიშვილმა, ნინო** და **ანა ასლამაზიშვილებმა, ლიკა ბიწკინაშვილმა** არაჩვეულებრივი რეპერტუარით მიულოცეს ეს ღირსშესანიშნავი დღე დამსწრე საზოგადოებას. პატარა მომღერლებმა მიზნობრივად შერჩეული სიმღერებით გამოხატეს საქართველოს ულამაზესი და უმშვენიერესი ბუნების სიყვარული. სიმღერით „მამა, წამიყვან ზოოპარკში“ – ზოოპარკის გალიებში დამწყვდეულ ყველა ცხოველს და ფრინველს მოეფერნენ, გარეთ კი – თავისუფლად მცხოვრებ ირმებს და არწივებს, მოჩუხჩუხე ნაკადულს, ცას და სიცოცხლეს დედამიწაზე.

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო გარემოს დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარეს, ბატონ **გიორგი შონვაძეს**, ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **იოსებ ქარცივაძეს** და ამ დეპარტამენტების ყველა თანამშრომელს ბავშვთა გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ეკოლოგიური განათლების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, აგრეთვე, ზოოპარკთან არსებულ საგანმანათლებლო ცენტრ „მეტაზოას“ პედაგოგებს, სკოლის დირექტორს, ქალბატონ **მანანა კაკაჩეიშვილს**, მოადგილეებს: **ეკა რაინაულს და შორენა ზარდიაშვილს,** პედაგოგებს: **ფიქრია შათირიშვილს, სოფო ქუმსიაშვილს, მარინა ხუბუას** აღნიშნული ღონისძიებსი მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

საბუნებისმეტყველო კათედრა, ახლად ჩამოყალიბებული ახალგაზრდული კლუბის „ეკოტურისტი-144“ თანადგომით, მსგავსი ღონისძიებებით შეეცდება კიდევ უფრო დააახლოვოს მოსწავლეები გარემოს, ასწავლოს მისი სიყვარული და გაფრთხილება.

ლალი ედიბერიძე
თბილისის 144-ე საჯარო სკოლის
საბუნებისმეტყველო
კათედრის გამგე

რწმენა და იმედი საუკეთესო მკურნალია

მისთვის უჩვეულო დღე თენდებოდა. ოჯახის წევრები გააფრთხილა სკოლიდან უნდა დამირეკონ, ყურადღებით იყავითო. რას ელოდებოდა ასე აღელვებული და აფორიაქებული ვლადიმერი? 22 აპრილს მთელი მსოფლიო დედამიწის დღეს აღნიშნავს. 117-ე საჯარო სკოლის ორგანიზატორმა, ქალბატონმა **იამზე ჭეიშვილმა** გადაწყვიტა ეს დღე დიდი ღონისძიებით აღენიშნა. სტუმრებიც მოიწვია, რომელთა შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, ბატონი **დავით ცარციძეც** იყო. ბატონი დავითი შემთხვევით არ მოგვიწვევია. ზეიმში მონაწილეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ვლადიმერ ითაშვილი**, ეტლში მჯდომარეს მთავარი როლი უნდა შეესრულებინა.

ვლადიმერი 11 წლისაა. მას სამშობიარო ტრავმის შედეგად გამოწვეული ცერებრალური დამბლა აღენიშნება. მთავარი პრობლემა მოტორული ფუნქციების დარღვევაა, რაც ფიზიკური განვითარებისთვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. ვლადიმერი 6 წლამდე საწოლს იყო მიჯაჭვული. შემდეგ ოპერაცია გაუკეთეს და ახლა მცირე მანძილზე სიარული შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი სკოლაში არ დადის და ძირითადად სახლშია, არ აქვს უსუსურობის და გარიყულობის განცდა.

117-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **დალილა ზუხბაიამ** ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ვლადიმერს სათანადო და საჭირო განათლება მიეღო. მასთან სახლში დადიან პედაგოგები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა გააუმჯობესონ ბავშვის შესაძლებლობები, მისცენ აკადემიური ცოდნა და ჩამოუყალიბონ სოციალური უნარ-ჩვევები, მასთან ვმუშაობ მეც, სკოლის ფსიქოლოგი. ვცდილობ, დავეხმარო ვლადიმერს შეფასების დონის ამაღლებაში, ქცევის პოზიტიურ მართვასა და სწავლისადმი ინტერესის გაღვივებაში.

მასწავლებლებმა შეძლეს ვლადიმერისათვის სიხარულის დაბრუნება. ამიტომ გადაწყვიტა მან ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. დარბაზში მის გამოჩენას ყველა სიხარულით შეხვდა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ, რათა ყურადღება და თანაგრძნობა გამოეხატათ მის მიმართ, თავიანთი მოქმედებით ეთქვათ – „ნუ გეშინია, ჩვენ შენთან ვართ“. ვლადიმერმა სძლია მღელვარებას და დედამიწის როლი შესანიშნავად შეასრულა. როცა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა დალილამ საჩუქარი გადასცა, ეტლიდან ფეხზე წამოდგა და სიხარულისაგან ატირდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არა აქვს ფიზიკური გარემო, სადაც ასეთი მოსწავლე შეძლებს ეტლით გადაადგილებას, ქალბატონი დალილა შეჰპირდა ვლადიმერს, რომ ყველაფერს გააკეთებს, რომ სექტემბრიდან მან სკოლაში სიარული შეძლოს.

ვლადიმერს თანადგომა სჭირდება, მას კიდევ ერთი ოპერაცია აქვს გასაკეთებელი, რათა გამართულად გაიაროს, ოჯახს ამის საშუალება არ აქვს. კეთილ ადამიანებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და ვლადიმერიც მათ ელოდება, დარწმუნებულია, რომ ვინმე აუცილებლად გამოჩნდება, ვინც მის დახმარებას მოისურვებს. ვლადიმერს აქვს უფლება, იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ჰქონდეს მომავლის რწმენა და იმედი, რომ სწავლას თანატოლებთან ერთად გააგრძელებს.

მზია გეგაძე

117-ე საჯარო სკოლის ფსიქოლოგი

რეგიონი

* * *

მე ვსწავლობ ახალციხის №5 საჯარო სკოლის IIIᵃ კლასში (კლასის ხელმძღვანელი – **ხათუნა შეშაბერიძე**). სკოლაში სამი პარალელური კლასია. სამივე კლასის ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლებმა – **მაყვალა კაჭკაჭიშვილი, ოფელია აღდგომელაძე, მზია ნოზაძე** – საპროგრამო მასალის უკეთ გაცნობის მიზნით, წაგვიყვანეს სასწავლო ექსკურსიაზე სამცხე-ჯავახეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში (დირექტორი – **ლევან კაპანაძე**, დამკვირვებელი – **მედეა გელაძე**).

ყველას ძალიან გვიყვარს და მოგვწონს ბუნების გაკვეთილები. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ეს დღე, რადგან ჩვენი თვალით ვნახეთ და გავეცანით მეტეოროლოგიურ დანადგარებს. დავათვალიერეთ ფლუგერები, ნალექის საზომი ვედრო, მზის ხანგრძლივობის საზომი ხელსაწყო, ჰაერის, ნიადაგის საზომი თერმომეტრები, წნევის საზომი ხელსაწყო. ყოველივე ნანახის შემდეგ სამივე კლასის მოსწავლეებმა გადავწყვიტეთ უფრო უკეთესად ვისწავლოთ.

ლიკა კაველიძე

IIIᵃ კლასის მოსწავლე

* * *

ახალციხის №5 საჯარო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია რეგიონში. სკოლაში მრავალი კარგი ღონისძიება ტარდება. 28 აპრილს პირველკლასელებმა ჩაატარეს ზეიმი „ჩემი ანბანი“ (კლასის ხელმძღვანელი – **ლია კაველიძე**). ამ კლასში სწავლობს ჩემი შვილი. ამ დღეს მასთან ერთად დიდი სიხარულით ველოდებოდი. აღტაცება ვერ დავფარე სკოლაში მისვლისას, რადგან სააქტო დარბაზი საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმული დაგვხვდა.

პატარები ათრთოლებული გულებით იკავებენ სცენაზე ადგილს, ისინი სიყვარულით მიმართავენ სამშობლოს, „დედა ენას“, მასწავლებელს, მაყურებელი მოხიბლულია ქართული ცეკვებით, ისმის სიმღერები, პირველკლასელები „დედა ენის“ შემოქმედს – იაკობ გოგებაშვილს უმღერიან. მათ არც „თხა და გიგო“ დავიწყებიათ. ინსცენირების შემდეგ ბავშვებმა პირობა დადეს, რომ შეიყვარებენ წიგნს – „ცოდნის წყაროს“.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** ბავშვებს ბედნიერი მომავალი და ერთიან საქართველოში ცხოვრება უსურვა. პატარებს მიმართეს, ასევე, სასწავლო ნაწილის გამგეებმა: **მაყვალა კაჭკაჭიშვილმა, თინათინ კევლიშვილმა** და მშობლებმა.

კიდევ ბევრჯერ ეამაყოს სკოლას თავისი აღზრდილებით.

პირველკლასელთა მშობლების სახელით

მარინა გოგოლაძე

* * *

26 აპრილს ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის მატეანეში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი

ჩაიწერა. სკოლის სააქტო დარბაზში უჩვეულო ფუსფუსია. კედლები აჭრელებულია ბრძნული გამონათქვამებითა და ლამაზი ნახატებით. სკოლაში საფუძველი ჩაეყარა საღამოების ციკლს, რომელსაც „დიდი ქართველი მამულიშვილები“ ეწოდება და რომლის მიზანია, წარმოაჩინოს და გაგვახსენოს ღვაწლმოსილი ერისკაცების ცხოვრება, მათი ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე. მათი საქმეების დავიწყების უფლება არავის აქვს, რადგან *„ერის დაცემა იქ იწყება, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა“.*

პირველი საღამო სულხან-საბა ორბელიანს მიეძღვნა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან: სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **შორენა ცინაძე** და სკოლის ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი **მარინა ყურმაშვილი**.

IXᵇ კლასის მოსწავლეებმა სასიქადულო მამულიშვილის ცხოვრება და შემოქმედება მიმოიხილეს. საღამოს რეფრენად გასდევდა ყველასათვის ნაცნობი სტრიქონები:

„მკერდზე გეფინა ჩანჩქერივით ქათქათა წვერი,
კურთხეულ იყოს სახელი შენი...“

ნორჩი დეკლამატორები, ქართული საგალობლების ფონზე, კითხულობდნენ უკვდავ ფრაზებს. მოსწავლეთა სამსახიობო ოსტატობამ და მოსმენილით გამოწვეულმა ემოციამ მაყურებელს ცრემლიც კი მოჰგვარა.

საღამო შეაჯამა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა**. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. იმედი გამოთქვა, რომ საღამოების ციკლი „დიდი ქართველი მამულიშვილები“ ტრადიციად იქცევა და ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლაში აღზრდილი თაობები არასოდეს დაივიწყებენ ღვაწლმოსილ მამულიშვილებს და სათანადო პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას.

გულნაზ მაისურაძე

სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

* * *

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. სწორედ ასეთი მოულოდნელი სიხარულით აღსავსე გამოდგა შეხვედრა ჩემპიონებთან, რომელიც ანბანის გაცილებას დაემთხვა. ეს ის ჩემპიონები არიან, რომლებმაც მძლეოსნობაში 22 წლის წინ დამყარებული რეკორდი მოხსნეს და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ახალი რეკორდი დაამყარეს.

მძლეოსანთა მოწვევა სკოლაში შემთხვევითი არ ყოფილა. იმ დღეს პირველკლასელები საზეიმოდ აცილებდნენ ანბანს. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი – ღონისძიების ინიციატორებს სურდათ სტუმრებისთვის გაეხსენებინათ სკოლის წლები, პერიოდი, საიდანაც სათავეს იღებს მათი წარმატებული სპორტული ბიოგრაფია, ასევე, გაეხსენებინათ ის უდიდესი შრომა, რომლის შედეგადაც მიაღწიეს ქვეყნის ჩემპიონობას.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ჩემპიონატის ყველა მონაწილე, საქართველოს ექვსგზის ჩემპიონის **გაიანე უსტიანის** გარდა, ერთი გვარის წარმომადგენელია, ესენი არიან: **ზიგმუნდ ზილბერშტეინი** (გუნდის მწვრთნელი), **გიორგი, ენდრიკ, გიგლა** და **ლუდვიკ ზილბერშტეინები**.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** თითოეულ ჩემპიონს ჯილდოდ 50 ლარი გადასცა.

პირველკლასელებმა სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ლექსებმა, სიმღერებმა, ქართული ანბანის განსაკუთრებულმა სიყვარულმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ჩემპიონებმა მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექციას მათ მიმართ გამოხატული ყურადღებისთვის.

ლამარა გერიძე

ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

* * *

„ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის პარალელურად, ამერიკული ორგანიზაცია „მშვიდობის კორპუსი“ საქართველოში მოხალისე ინგლისურენოვანი მასწავლებლების მოზიდვას წარმატებით ახორციელებს.

27 მოხალისე მასწავლებელი საქართველოს რეგიონებში გადანაწილდება და მოსწავლეებს ინგლისურს ადგილებზე შეასწავლის. ინგლისურენოვანი მასწავლებლები გაკვეთილებს ინგლისური ენის ქართველ მასწავლებლებთან ერთად ჩაატარებენ.

„შვიდობის კორპუსის“ აღნიშნული პროექტის პარალელურად, ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველ მარტს გამოაცხადა. პროგრამა საქართველოში ათასი ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვანას ითვალისწინებს. ორივე პროექტის მიზანი საქართველოში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებაა.

მოხალისე პედაგოგთა რეგისტრაცია მიმდინარეობს საიტზე www. tlg.gov.ge

საიტი, პროგრამის ფარგლებში, სპეციალურად შეიქმნა და გარდა იმისა, რომ მოხალისე პედაგოგები მასზე დარეგისტრირებას შეძლებენ, ასევე სრულ ინფორმაციას მიიღებენ საქართველოზე, მის ისტორიასა და კულტურაზე.

უცხოელი პედაგოგების საქართველოში ჩამოსვლა ივლისში დასრულდება. პირველი ორი თვის განმავლობაში ისინი გაეცნობიან ჩვენს ქვეყანას და სურვილის შემთხვევაში, საშუალება ექნებათ შეისწავლონ ქართული ენა. ახალი სასწავლო წლიდან უცხოელი მასწავლებლები ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან. საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სკოლების თითქმის ნახევარს მოიცავს, მათ შორის მცირეკონტინგენტიან სკოლებსაც. ინგლისური ენის სპეციალისტები ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან და ახალი ზელანდიიდან ჩამოვლენ.

ინგლისურენოვანი მასწავლებლების პირველ ნაკადს თბილისის აეროპორტში საქართველოში ამერიკის ელჩი **ჯონ ბასი** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** დახვდნენ.

* * *

საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის პირველი შესარჩევი ტურები, მათემატიკასა და ფიზიკაში, თბილისის №98 საჯარო სკოლაში შემდეგი განრიგით გაიმართება: I და II ტურები – 1-2 მაისი, III და IV ტურები – 12-13 მაისი.

2010 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველო დელეგაციებს შემდეგ სამ დისციპლინაში წარადგენს:

ფიზიკის 41-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე – IPHO 2010 (ხორვატია, ქ. ზაგრები, 17-25 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა – 5 მოსწავლე;

მათემატიკის 51-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე – IMO 2010 (ყაზახეთი, ქ. ასტანა, 2-14 ივლისი), გუნდის წევრთა რაოდენობა – 6 მოსწავლე;

ინფორმატიკის 22-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IOI 2010 (კანადა, ქ. ვატერლოო, 14-21 აგვისტო), გუნდის წევრთა რაოდენობა – 4 მოსწავლე.

საერთაშორისო ოლიმპიადებზე საქართველოს ნაკრების წევრების შერჩევასა და მომზადებას საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი განახორციელებს. ყველა საგანში, შესარჩევ ტურებზე, მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყება 9:00 საათზე, ტურების ჩატარების ადგილას. რეგისტრაციის დღეს თითოეულმა მონაწილემ თან უნდა იქონიოს დაბადების მოწმობა ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წელს, პირველად, ქართველი დამკვირვებელი ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, კორეის ქალაქ ჩანგვონში გაემგზავრება. ეს შესაძლებლობას მისცემს ქართველ მოსწავლეებს მომავალში მონაწილეობა მიიღონ ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებზეც.

2009 წელს ჩვენმა მოსწავლეებმა მოიპოვეს:

სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი – მათემატიკის 50-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე;

ერთი ბრინჯაოს მედალი – ფიზიკის მე-40 საერთაშორისო ოლიმპიადაზე;

ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი – ინფორმატიკის 21-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე.

სასწავლო ოლიმპიადების ჩატარებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ოლიმპიადები რეალურად უწყობს ხელს ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლეების გამოვლენას, რის შემდეგაც გამარჯვებული ოლიმპიელების წახალისება ხდება, რაც, თავისთავად, მოსწავლეებში მოტივაციას ზრდის და შესაბამის უნარჩვევებს უვითარებს.

* * *

10 მაისს სრულდება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მსურველთა რეგისტრაცია. პრიორიტეტულ მიმართულებესა და სტუდენტთა დაფინანსების პრინციპებზე ბრიფინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **აკაკი სეფერთელაძემ** და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **მაია მიმინოშვილმა** გამართეს.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებუ-

ლოა ნებისმიერი აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ მაგისტრანტობის იმ კანდიდატებს, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება საშემსრულებლო საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამებზე.

სამაგისტრო გამოცდის **მიზანია:** დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მაგისტრანტების შერჩევაში; განახორციელოს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა კლასიფიცირება მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით; უზრუნველყოს მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობა და გამჭვირვალობა; გამორიცხოს მაგისტრატურაში ისეთი კანდიდატების მიღება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სწავლების ამ საფეხურისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.

სპეციალობის გამოცდას კანდიდატები უშუალოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებენ (გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.ge გამოქვეყნებულია სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი და სხვა საჭირო ინფორმაცია). სამაგისტრო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვისას მნიშვნელობა ენიჭება როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის, ისე სპეციალობის გამოცდის შეფასებას.

საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებით მაგისტრატურის დაფინანსების სქემა განსხვავდება ბაკალავრიატის დაფინანსების პრინციპისგან – 2009 წელს ქვეყნის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მაგისტრატურის ცენტრალიზებულად, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებით დაფინანსების შესახებ.

სახელმწიფომ განსაზღვრა მისთვის პრიორიტეტული სფეროები, რომელთა დაფინანსება უპირატესად მიიჩნია. გამოიყო 11 მიმართულება – ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალი, საინჟინრო, განათლება და პედაგოგიკა, საბუნებისმეტყველო, აგრარული, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნება, ჯანდაცვა. განისაზღვრა, რომ მაგისტრატურის დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხის 10% განაწილდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით შედგენილი რეიტინგული სიით. მომდევნო 40% თანაბრად განაწილდება მიმართულებებზე, დარჩენილი 50% კი გადანაწილდება პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

მთავრობის მიერ 2009 წელს განსაზღვრული პრიორიტეტები შენარჩუნებულია 2010 წლისთვისაც.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის 94-ე საჯარო სკოლაში საცურაო აუზი გახსნა. ახალი აუზი ერთადერთია ისან-სამგორის დასახლებაში და, გარკვეული შეღავათებით, შვიდი საჯარო სკოლის მოსწავლეებს მოემსახურება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 94-ე საჯარო სკოლის 300-მდე მოსწავლეს, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, უფასოდ ჩაუტარდება ცურვისა და წყალბურთის გაკვეთილები.

94-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ **მარინა ჩაგანავას** განცხადებით, სკოლაში დიდი დაინტერესება გამოიწვია პრეზიდენტის ინიცირებულმა პროექტმა ფიზკულტურის სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლების თაობაზე. ამ სკოლის მოზარდები კალათბურთითა და ფრენბურთით არიან დაინტერესებულნი და ახალი სასწავლო წლიდან ცურვასა და წყალბურთთან ერთად სპორტის ამ სახეობებშიც ჩაუტარდებათ გაკვეთილები. პროექტის ALUMNI ფარგლებში შემოწირული თანხით სპორტის გაკვეთილების განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იგეგმება – შეკეთდება სპორტული დარბაზი და აღიჭურვება სპორტული ინვენტარით, ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება ღია სპორტული მოედნის მშენებლობაც.

თბილისის №94 საჯარო სკოლაში 1600 მოსწავლე სწავლობს და 108 პედაგოგი მოღვაწეობს. 50-მდე პედაგოგმა გაიარა მასწავლებელთა სერტიფიცირებისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გადამზადების კურსები, 40-მდე მასწავლებელი სასერტიფიკატო გამოცდებს გაივლის.

სკოლის შენობას პროექტ „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, მონაწილეობენ სასკოლო ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კონკურსებში. მიმდინარე წელს სკოლას 2 ოქროსა და 6 ვერცხლის მედლის კანდიდატი ჰყავს.

* * *

თბილისის შვიდ საპილოტე სკოლაში მომუშავე ოცდაორ მანდატურს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და სამედიცინო დაზღვევის ჯგუფის „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა **რუსუდან ლაგვილავამ** სამედიცინო დაზღვევის პოლისები გადასცეს.

მანდატურებისთვის განკუთვნილ სამედიცინო დაზღვევის პოლისში გათვალისწინებულია სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება. დაზღვეულებს გადაუდებელი ამბულატორიული და ამბულატორიული, ოჯახის ექიმისა და სტომატოლოგიური მომსახურება „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ პროვა-

იდერ სამედიცინო დაწესებულებებში ჩაუტარდებათ. მანდატურების სადაზღვევო პოლისი ასევე სამოგზაურო დაზღვევასაც ითვალისწინებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში, მანდატურის ინსტიტუტის დანერგვა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ხელისუფლება ზრუნავს როგორც მოსწავლისა და მასწავლებლის, ასევე თავად მანდატურის უსაფრთხოებაზე და მათ სრულყოფილ სოციალურ პირობებს უქმნის. მანდატურების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა სწორედ ამის ნათელი მაგალითია.

მანდატურებს სამედიცინო დაზღვევის პოლისები უფასოდ გადაეცემათ.

ჭაბუკთა ნაკრები გაირკვა

ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ბაქოში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირში „ატილას თასი“. ხუთი ოქრო, ორი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო – ასეთია მათი მონაგარი. შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ: **ლაშა გიუნაშვილი** (55), **გიორგი ბროლაშვილი** (60), **ანზორ ხმიადაშვილი** (73), **მიხეილ ნარიმანიძე** (100) და **ვაჟა დაბრუნდაშვილი** (+100). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ **ბეთქილ აფრასიძე** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81); ბრინჯაოს მედლებს **თორნიკე თათარაშვილი** (60), **დავით ტარაშვილი** (66), **არჩილ შინჯიკაშვილი** (81) და **ლევან მათიაშვილი** (+100) დაეუფლნენ.

ეს ნაკრები 17-19 სექტემბერს სოფიაში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადება და მსგავს ტურნირებში ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევას ლამობს.

ზუსტად იმ დღეებში, როცა ესენი ბაქოში ჭიდაობდნენ, ჭაბუკთა ნაკრების ორი წევრი – **ლაშა ტაველური** და **ილია ოტიაშვილი** (ორივე – 81) რუმინულ პლოეშტში თანატოლთა ევროპის თასზე გამოვიდნენ. ეს ნაკრებიც ევროპის პირველობისთვის ემზადება, რომელიც ბევრად ადრე – 25-27 ივნისს ჩეხურ ტეპლიცეში გაიმართება. ამ წონის გარდა, ნაკრებში ყველა ვაკანსია შევსებული იყო და რუმინეთში სხვები ამიტომ არ გაუშვეს.

პლოეშტში ჩვენები ერთმანეთს არ შეხვედრიან, თუმცა კონკურენცია მაინც გადაიჭრა – ტაველური ჩემპიონი გახდა, ოტიაშვილი კი ბრინჯაოს დასჯერდა და ნაკრებში ადგილიც კონკურენტს დაუთმო. მათი უშეღავათო კონკურენცია ჯერ კიდევ საქართველოს ჩემპიონატზე დაიწყო, სადაც ოტიაშვილმა ფინალში ტაველური დაამარცხა. შემდეგ ისევ ერთად იჭიდავეს ანთალიაში ჭაბუკთა ევროპის თასზე, სადაც ყველაფერი თავდაყირა დადგა – ტაველურმა ოქრო ირგუნა, ოტიაშვილი კი იქაც მესამეზე გავიდა, ანუ ზუსტად ისეთი შედეგი ვიხილეთ, როგორიც – პლოეშტში.

ამდენად, ივნისის ბოლოს, ტეპლიცეში, კონტინენტის პირველობაზე **გელა კელეხაშვილი** (50), **ომარ ნიაზაშვილი** (55), **მიხეილ მეზურნიშვილი** (60), **პავლე ქავთარაძე** (66), **თამაზ ონიანი** (73), **ლაშა ტაველური** (81), **ომარ გასიტაშვილი** (90), **კარლო ნემსიწვერიძე** (+90) იჭიდავებენ. ამათგან საქართველოს ჩემპიონები არიან: კელეხაშვილი, ნიაზაშვილი, ონიანი და ნემსიწვერიძე. მათ საერთაშორისო ტურნირებზეც კარგად იჭიდავეს და, შეიძლება ითქვას, უკონკურენციოდ მოიპოვეს ადგილი, დანარჩენებს კი ტეპლიცეში წასასვლელად ისეთივე რთული გზის გავლა მოუხდათ, როგორც – ტაველურს.

სამბისტების წარმატება საბერძნეთში

საქართველოს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა გუნდებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ბერძნულ მუდანიაში დასრულებულ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე – ორივე ნაკრებმა, ჯამში, 15 მედალი მოიპოვა. აქედან 7 – ახალგაზრდებმა, 8 – ჭაბუკებმა. გუნდურ ჩათვლაში ახალგაზრდული ნაკრები ჩემპიონი გახდა, ჭაბუკებმა კი ვერცხლი ირგუნეს. ახალგაზრდების მონაგარი ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოა. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ნადარეიშვილი** (48), **ზებედა რეხვიაშვილი** (74), **ვახტანგ სარაჯიშვილი** (82) და **ლევან მუქერია** (+100), ვერცხლი **გენადი ჩირგაძემ** (57) და **გიორგი ტაბატაძემ** (62) მოიპოვეს, მესამეზე კი **ზაზა დავაძე** (90) გავიდა.

ჭაბუკებმა ორი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო მოიპოვეს. ოქროს მედლები **გიგა გიუნაშვილმა** (56) და **გოჩა ვარძელაშვილმა** (65) დაისაკუთრეს, ვიცე-ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი საჩალელი** (52), **გიორგი კაცია** (60), **მიხეილ ჩოხელი** (70) და **სლავა რეზესიძე** (+87), ბრინჯაოს კი **ლერი ჯიხვაშვილი** (48) და **ალექსანდრე მილდიანი** (87) დაეუფლნენ.

კარატისტული მედლები და პრიზები

უნგრეთის ქალაქ ზენტაში გამართულ გაერთიანებული კოიკუშინკაი კარატეს 18-წლამდელთა ჩემპიონატზე ორმა ქართველმა მოიპოვა მედალი – თბილისელი **გიორგი თეგაძე** მეორეზე გავიდა, გოგოებში კი სამტრედიელმა **თამარ ბიბილეიშვილმა** ბრინჯაო ირგუნა. მას და თბილისელ **ნიკა მახლაურს** საუკეთესო მებრძოლის პრიზებიც გადაეცათ.

პატარების თურქული წარმატება

1996-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდმა წარმატებით იჭიდავა თურქულ ბურსაში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა და 11 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის, ისეთი ძლიერი საჭიდაო სკოლების წარმომადგენლები, როგორიც რუსეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანია, მასპინძლები კი, სულაც, სამი გუნდით გამოდიოდნენ.

შეჯიბრება პირად-გუნდური იყო და თურქებმა გუნდურში მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს. თუმცა, მათი სიმრავლისა და მონდომების მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა გუნდურშიც იყოჩაღა – მეორეზე გავიდა და რუსეთი ჩამოიტოვა, პირველი კი თურქთა ერთ-ერთი ნაკრები იყო.

ჩვენი გუნდი, **ელგუჯა ქობესაშვილის** ხელმძღვანელობით, 12 სპორტსმენით გამოვიდა ბურსაში და ცხრა მედალი მოიპოვა. აქედან სამი ოქროა, ერთი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: აჭარის წარმომადგენელი 35 კგ წონით კატეგორიაში **ირაკლი მხეიძე** (მწვრთნელი – **აკაკი კუნჭულია**), კიდევ ერთი აჭარელი, ოღონდ 38კგ-ში, **რამაზ ზოიძე** (მწვრთნელი – **მარადი არძენაძე**) და თბილისელი **თორნიკე კახობერაშვილი** (85 კგ წონითი კატეგორია, მწვრთნელი – **თენგიზ ღამბაშიძე**). ასეთივე წარმატების მოპოვება შეეძლო ოლიმპიურ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** აღმზრდელ **დავით გონაშვილის** შეგირდს, დედოფლისწყაროელ **ფერნანდეს გონაშვილსაც** (47), მაგრამ ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: აჭარელმა **მარადი გიორგაძემ** (31, მწვრთნელი - **მარადი გორგაძე**), ხაშურელმა **გაიოზ გონგლაძემ** (35, **გია კვინიკაძე**), საგარეჯოელმა **გიორგი პასეკაშვილმა** (42, **რამაზ ასაბაშვილი**), თბილისელმა **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (54, **ელგუჯა ქობესაშვილი**) და ასევე დედაქალაქელმა **ედუარდ ნიკოლეიშვილმა** (59, **ჯონი ლორია**).

მორიგი ქართველი ბარსელონაში

გიორგი ჭანტურიას შემდეგ სახელოვანი „ბარსელონას“ წევრობისკენ კიდევ ერთი, ოღონდ ასაკით ბევრად პატარა – 9 წლის თბილისელი **გიორგი არაბიძე** მიილტვის. ის უკვე ჩაირიცხა მსოფლიო გრანდის ბავშვთა კლუბში და პირველი შეფასებებიც ძალზე დადებითია. ცხადია, ჯერ შორსმიმავალ გეგმებზე ლაპარაკი ადრეა, მაგრამ თავად ფაქტია მნიშვნელოვანი. მთავარია, ჩვენებური ზუსტად იქ მოხვდა, რასაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ დიდი ფეხბურთელების სამჭედლო, დანარჩენი კი მის მონდომებაზეა დამოკიდებული. თანაც, იქ შემთხვევით არავის იწვევენ.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე